№ 2772
ოთხშაბათი,
16 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 2772
ოთხშაბათი,
16 მარტი

ხელის ფასი: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ბარბარე სულხანის ასული თულაშვილისა შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ უეცრად გარდაიცვალებას თავის ძვირფასის მეუღლის სტ. სოვ.

ივანე გაბრიელის ძის თულაშვილისას.

ცხედრის გამოსვენება ოთხშაბათს, 16 მარტს, დილის 10 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში განსვენებულის ბინიდან (საკუთარი სახლი ოქრომჭედლების ქუჩა). პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7½ საათზე. (2—94—2)

კახეთის მევენახეთა საზოგადოების „კახეთი“-ს

გამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა 1905 წ. 25 მარტს დანიშნულია მეორე საზოგადო კრება წევრთა თელავში, დილის 10 საათზე, ბადლად იმ კრებისა, რომელიც იყო დანიშნული 28 თებერვალს და არ შესდგა. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენიც უნდა დაესწროს წევრი. კრებამ უნდა განიხილოს: წლიური ანგარიში, 1904—1905 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, ღვინის დაფასების ზოგიერთი მუხლის შეცვლა; მოხსენება განყოფილებების შესახებ; თავ. არ. დ. ჭავჭავაძის წინადადება შესახებ წესდების შეცვლისა; მოხსენება შესახებ საქმის გაუმჯობესებისა; 4 სარევიზიო წევრის, ერთი გამგეობის წევრისა, კანდიდატისა და ერთი მიმღებ კომიტეტის წევრის არჩევანი. (3—6—2).

ხონის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობა

ჩვეულებრივი კრება არის დანიშნული ამა წლის 20 მარტს, განსახილველი საგნები: 1, განხილვა და დამტკიცება 1904 წ. ანგარიშისა. 2, ხარჯთ-აღრიცხვა 1905 წლისა. 3, არჩევა ერთის გამგეობისა, ორის რჩევისა და სამი სარევიზიო კომისის წევრთა, რომელთაც სამსახურის ვადა გაუვიდათ. (2—1)

ძმ. ნიკიტინების ცირკი.

ოთხშაბათს, 16 მარტს, დიდი წარმოდგენა 3 განყოფილებად. სხვათა შორის გაიმართება ორი **კავკასიური ჭიდაობა** განთქმული ჰერკულესი ფალავანი **რომო** დაეჭიდება ახლად მოსულ ფალავანს **ქობულაშვილს**. გამარჯვებულს 25 მ. ცნობილი ფალავანი დავით **სანიკიძე** დაეჭიდება ცნობილ ფალავანს **ჯიბგირს**. გამარჯვებულს ვერცხლის საათი. დასასრულ კომიკური პანტომიმა. დაწვრილებით პროგრამაში. დასაწყისი საღამოს 8½ საათ. (1—1)

საარტისტო საზოგადოების დარბაზში
ხუთშაბათს, 17 მარტს, გამართული იქნება

კონცერტი

ქართული საფილარმონიო საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად. მონაწილეობას მიიღებენ: კნ. სოფ. დ. დიასამიძისა, კნ. ბარ. მ. ამირაჯიბისა, კნ. ან. ნ. ჯამბაკურ-ორბელიანისა და ბ. ტ. ზაგიუ. ბ-ნნი ს. ა. ბარხუდარიანი, ა. გ. რჩეულიშვილი, ა. პ. მირანოვიჩი, ს. ა. ნასიძე, მ. ფ. ქორიძე, ილ. აბაშიძე და ქართული ხორო და ორკესტრი ზაქ. ფალიაშვილის დირიჟორობით. ბილეთების ფასი 5 მანეთიდან 70 კ., მოსწავლეთათვის 45 კ.
დასაწყისი სრულ 8½ საათზედ.
ბილეთები იყიდება საარტისტო საზოგადოების კასსაში
პასუხის მგებელი კონცერტის გამართვაში საზოგადოების თავმჯ. ი. ა. სულხანიშვილი.

ფოთის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობა ატყობინებს თავისს წევრებს, რომ კვირას, ამა წლის 27 მარტს, დილის 10 საათზე დანიშნულია **წლიური საზოგადო კრება** წევრებისა, ფოთის ქალაქის გამგეობის სადგომში.

განსახილველი საგნები:

1. 1904 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება:
2. 1905 წლის აღრიცხვის დამტკიცება.
3. არჩევნები გამგეობის თავმჯდომარისა და ერთის დირექტორისა, ნაცვლად ძველისა, რომელსაც ვადა გასდის.
4. არჩევანი საბჭოს ოთხის დირექტორისა იმათ ნაცვლად, რომელთაც ვადა გასდით.
5. არჩევანი სარევიზიო კომიის სამის წევრისა და სამის კანდიდატისა. საზოგ. წეს. მე-36 §-ის ძალით, რწმენების ქაღალდები საზოგადო კრებაში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარდგენილ იქნას გამგეობაში სამის დღით ადრე, ე. ი. არა უგვიანეს 24 მარტისა. (3—6.—3)

გამგეობა ზუგდიდის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა ამით აცნობებს ბ-ნთ საზოგადოების წევრთ, რომ 31 მარტს, ამა 1905 წლისას, დილის ათ საათზე, საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში, დანიშნულია საზოგადო წლიური კრება წევრებისა.

განსახილველი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება ანგარიშისა საზოგადოების ოპერაციების შესახებ წარსულის 1904 წლის განმავლობაში; 2. სავარაუდო-აღრიცხვა ამა მდგომარე 1905 წლისა; 3. არჩევნები ვადა გასულთა ნაცვლად საბჭოს ორის დეპუტატისა, გამგეობის ერთის წევრისა, წლიურის ანგარიშების შემამოწმებელის კომისიისა სამის წევრისა და სამის ამათის კანდიდატისა, წესდების მე-44, 53. და 70 პარაგრაფების თანახმად. წესდების § 37 ძალით, საზოგადოების თითოეულ წევრს შეუძლიან იქონიოს მხოლოდ ორი ხმა, ერთი თავის და მეორე ვექილობის ძალით. ხმის უფლება გადაიცემა საზოგადოების გამგეობის სახელზე, შემოტანილ უბრალო წერილის ძალით კრებამდის სამის დღით წინ.

ზუგდიდის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობის

თავმჯდომარე **ვ. ქ. ალშიბაია**
დირექტორნი { **დ. ხ. ჟვანია.** / **დ. ლ. კარტოზია**

ტფილისის სამოქალაქო სასწავლებლები: 1-ი (ვერის ოთხ-კლასიანი), მე-2 (რკინის გზის ექვს-კლასიანი) და მე-3 (ნიკოლოზისა), სთხოვენ მეოთხე განყოფილების მოსწავლეთა მშობლებს, მობრძანდნენ სასწავლებელში 17 მარტს, —მე-5 განყოფილების (კლასი)—18-ს და მე-6 განყოფილების (კლასი)—19 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, რათა შეიმუშაონ ზომები სწავლის განგრძობის შესახებ ამ სასწავლებელში. (3—105—2

იყიდება

საუკეთესო ჯიშის ხეხილი, ვაშლი, მსხალი და სხვა. იკითხეთ „პრილიკკოს“ მებაღესთან მუშტაიდში.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

მ. ი. ჭიჭინაძე. კბილის 8—9 საათ.
ზ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ნ. ტ. მუღინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ი. დ. ლაყაშვილი.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
მ. მ. მაჩაბელოვი. შინაგ. და ბავშვ. 12—1.
დ. ა. ზედგენიშვილი.—შინაგანი, და ნერვების 12—1 ს.
ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საშვილოსნოსი, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ქ. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. გაფაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოთხი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მოეწყობით. კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

ექიმი
ი. ა. გოკიელოვი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 119. ბაკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—35)

ბავშვების ექიმი
ა. ი. ბალარჯიშვილი
კიევის უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს მხოლოდ 15 წ. ასაკამდე ყოველ დღე 11—12 წ.
მიხეილის პრ. № 115. ნემეცების ეკკლესიის გვერდით ტელეფ, 729. (30—91—9)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—36)

ქალის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—17—21)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.
14 მარტი.

შანხაი. ასეთი დუმილი, როგორიც ეხლაა, დიდხანს არ გასტანს. ახლო მომავალში მოულოდნელი თავდასხმა მოხდება. ლინევიჩს 180 ათასამდე კაცი ჰყავს. ერთი დივიზია ნახევარი ხარბინთან დგას. ერთი დივიზია ვლადივასტოკსა და კორეის საზღვარს შორის.—ვლადივასტოკის დასაცველად საჭიროა საარმიო კორპუსი. ჰფიქრობენ, საერთო რიცხვი რუსების მეომართა მანჯურიაში 220 კაცს არ აღემატებაო. იუწყებიან, რომ რამდენიმე უმნიშვნელო შეტაკება მოუხდა კავალერიას გირინის გზის დასავლეთით. იაპონელთაგან მუკდენთან დატყვევებული არა მეომარი რუსები განთავისუფლეს; იმათში 47 მოხელეა, 359 კერძო პირი, 9 სანიტარი, 2 მღვდელი და 4-ც ვაჭარი.

ბერლინი. იაპონიის საელჩოს განცხადებით, ინგლისის გაზეთების ცნობა, ვითომც გასულ წლის ივლისში იაპონიის ბერლინელი ელჩი შუამავალის როლს თამაშობდა, რათა იაპონიის ლონდონელი ელჩი და სტატს-სეკრეტარი ვიტტე ერთმანეთისთვის შეეხვედრებინა, ტყუილი ყოფილა. ხსენებულმა ელჩმა არაფერი არ იცის ამ საქმის შესახებ.

პარიზი. ჩინელთ განახლებული არმია 20 კორპუსისაგან შესდგება; ამათში 18 კორპუსი ცენტრალურ პროვინციებს დაიჭერს, ერთ კორპუსს თურქესტანში გაგზავნიან, უკანასკნელი კი პეკინსა და მისს ახლო-მახლო ადგილებში იქნება; თვითეულ დივიზიაში 12 ბატალიონი ქვეითი ჯარი, ერთი პოლკი კავალერია და სამი პოლკი არტილერია და საინჟინერო როტა იქნება. პრინცი ჰაიმე ბურბონელი მაისში მანჯურიაში დაბრუნდება, რათა ხელახლა დაიჭიროს ადგილი რუსეთის მთავარ-სარდლის შტაბში.

სალიანი. უკანასკნელ ხანებში სპარსელ ავაზაკების ბრბოები სულ უფრო ხშირად გადმოდიან საზღვაზე, შედიან შიგ შუა-გულ სოფლებში და ყველაფერს ძარცვავენ. 12 მარტს სტრაჟნიკებს შეტაკება მოუვიდათ ბრბოსთან და სროლის დროს ხუთი სტრაჟნიკი მოჰკლეს.

მოსკოვი. ახალი სესხი აუარებელ მსურველებს იზიდავს. სანამ სესხს ოფიციალურად გამოაცხადებდნენ, აუარებელი ობლიგაციები დაიკავეს.

კიევი. პროფესორ ტრიტშეს თავმჯდომარეობით შესდგა კიევის ექიმების სხდომა. ქალაქის სანიტარულ კომისიის თავმჯდომარის მოხსენებამ კამათი გამოიწვია; ამ მოხსენების ძალით ხსენებულმა საზოგადოებამ უნდა განაცხადოს თავისი საჭიროებანიც. თავმჯდომარემ მიუთითა დამსწრეთ ხალხის განათლების საქმის უვარგისობაზე და აგრეთვე იმაზე, რომ საჭიროა ვიმუშაოთ ერთად უმაღლესს და საშუალო სასწავლების საქმის ჯეროვნულ ნიადაგზე დაყენებაზე; სასწავლებლებში უნდა იღებდნენ ეროვნებისა, სქესისა და სარწმუნოების განურჩევლად ყველას, უნდა შემოვიდეს სრული აკადემიური თავისუფლება, გაძევებულ უნდა იქმნას ადმინისტრაციის პატრონობა სასწავლებლიდან და ღიად უნდა იქმნას ყოველგვარი უფლება შრომისა.

თავრიზი. ქალაქში ჯერ სიმშვიდეა. ამ დღეებში მოელიან მემკვიდრის წასვლას და თეირანის გუბერნატორის მოსვლას.

მოსკოვი. მეფაბრიკეთა და მექარხნეთა თათბირზე გამოარკვიეს, მუშათა მოძრაობის მიზეზი საფაბრიკო კანონმდებლობის მოუწესრიგებლობა და რუსეთის მრეწველობის ნამდვილ მდგომარეობის არ ცოდნაა. გაფიცვის თავისუფლება სასურველად სცნეს. გამოითქვა სურვილი დაარსდეს მეფაბრიკეთა და მექარხნეთა საერთო კავშირი.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
13 მარტი.

სიპინგაი, 14 მარტი. ჩვენი რაზმები ქალაქ ჩანტაფუს მიუახლოვდნენ. მოხალისე შევიდა ქალაქში და გაიგო, რომ იქ ორი ბატალიონი და ორი ესკადრონი ჯარი ყოფილა. არმიის ფრონტის წინ ამჩნევენ ხუნხუზების ბრბოებს, რომელთაც ხელმძღვანელად იაპონელი აფიცრები და უნტერაფიცრები ჰყავთ. თბილი დღეებია. ბივაკებზე მღერიან და უკრავენ.

ვარშავა. აფეთქების საქმეს იძიებს თვით სამხედრო დეპარტამენტის დირექტორი კოვალევსკი.

რომი, 14 მარტი (სტეფანი). მილანის პროფესორმა ჯუზეპე-ლევიმ გამოიგონა ახალი საშუალება ტუბერკულიოზის (ჭლექის) წინააღმდეგ და მეფეს აცნობა ეს ამბავი; ის საზღვარგარეთ მიემგზავრება, რათა გამოკვლევა გამოაქვეყნოს.

ასხაბადი. „ზაკასპისკი ობოზრენიე“-ს დეპეშით აუწყებენ, კოჩანში მცხოვრებლები აჯანყდნენ, რუსეთის ქვეშევრდომნი გარბიან, რუსის ერთი ოჯახი 13 მარტს გუდანში მივიდა.

ვარშავა. უმიზეზოთ დაჭრილ პოლიცმეისტერს ტკივილებმა უმატეს.

ტანჟერი. „ტაიმს“-ის კორესპონდენტი მსუბუქად დასჭრა სასტუმრო „მურიშეტელის“ ბიჭმა დანით მუცელში.

პარიზი. გერმანიის იმპერატორის სურვილისამებრ, ფლოტების რწმუნებული ამიერში გაემგზავრა, რათა ჟულ-ვერნის ქროვს იმპერატორისაგან სამძიმარი უთხრას. საფრანგეთის ოფიცრებმა, რომელნიც ჩინეთში იყვნენ გაგზავნილნი, აცნობეს, რომ ჩინეთის არმიაში გერმანიისა და იაპონიის ოფიცრები რეორგანიზაციას იაპონიის სამხედრო წესით ახდენენო.

სტამბოლი, 14 მარტი. კრიტოსის დასავლეთ ნაწილებში გაძლიერდა ოპოზიციონური მოძრაობა. მაჰმადიანთ ოჯახები გარბიან კანეაში. სელინოში შეტაკება მოხდა აჯანყებულებთან რომელთა რიცხვი 2000-მდე აღწევს. დღეს აჯანყებულები კრიტოსის საბრძნეთთან შეერთების გამოცხადებას ჰფიქრობენ.

პეტერბურგი. გამოაქვეყნეს კონვენციები რუსეთისა, შვეციისა და ნორვეგიის შორის სამედიატორო სამართალზე და აგრეთვე სააქციონერო საზოგადოებათა და სხვა სავაჭრო, სამრეწველო და სადაზღვევო ამხანაგობათა შეთანხმებაზე რუსეთსა და დიდ-ბრიტანიას შორის.

პეტერბურგი, 14 მარტი. ცარსკოე სელოს სასახლეში ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე იმპერატრიცებმა მიიღეს გამოსათხოვარ აუდიენციაზე შეერთებულ შტატების ელჩი მაკ-კორმიკი, რომელიც ახალ ადგილზე გადაიყვანეს. გაზეთების ცნობა, ვითომც სამრეწველო-სავაჭრო გადასახადების გადასინჯვა გადადებული იყოს გამოურკვეველ დროისთვის, ტყუილია. კვირაცხოვლობის კვირაში საბოლოოდ გადაწყდება ხსენებულ გადასახადის საქმე.—იუსტიციის სამინისტროს პირველ დეპარტამენტის დირექტორი კრიჟანოვსკი დაინიშნა ადგილობრივ მეურნეობის საქმეების გამგეობის უფროსის თანაშემწედ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ჩანტუფუსა და ხარბინს შუა. თითქმის არავითარი ცნობა არ მოდის რუსის არმიიდან. რუსული გაზეთი „ნოვოსტი“ სწერს: „საყურადღებოა, რომ არა თუ რუსულ პრესას, უცხოეთის პრესაშიაც არავითარი ცნობა არ იბეჭდება მუკდენსა და ტელინს შუა მომხდარ ბრძოლაზე. ასე რომ დღემდე არ ვიცით, რა ზარალი მოუვიდა რუსის ჯარს და სადა დგას ეხლა ეს ჯარი. ხმა დადის, რუსის ჯარს 300 ათას კაცამდე დააკლდაო. რით აიხსნება ასეთი სიჩუმე? ჩვენის აზრით ის მიზეზია, რომ იაპონიის მთავარი შტაბი ჯერ ჯერობით ჰმალავს თავის პლანებს. იქნება იაპონელებს უფრო ვრცელი პლანი ჰქონდეთ, ვიდრე ჩვენა გვგონია და როცა ამ პლანს შეასრულებენ, მხოლოდ მაშინ გააცნობენ ქვეყნიერობას იმ ამბებს, რაც ეხლა საიდუმლოდა ხდება მანჯურიაში.

„ბერლ. ლოკალ ანცაიგერ“-ი არწმუნებს: პეტერბურგში ძლიერ ეშინიანთ, ვაი თუ გენ. ნოგის არმიამ, ჩინეთის მთავრობის თანხმობით, მონგოლიაზე მოუაროს რუსის ჯარსაო. ხმა დადის, გენ. ნოგის არმიის სწრაფი ცხენოსანი რაზმები ციციკარისაკენ მიდიანო. ციციკარი რკინის გზაზე მდებარეობს ხარბინიდან 240 ვერსტზე, დასავლეთით. („ნ.“).

იაპონიის სამხედრო მინისტრმა უთხრა „ჰავას“-ის სააგენტოს წარმომადგენელს ფურნიეს: იაპონიის არმია ამ ჟამად ხარბინის აღებას ეცდება. ვლადივასტოკის აღებას ჯერ არ ვეშურებით, სახალინს არც კი დავიჭერთ, რადგან ეს კუნძული მწიფე ვაშლივით თავის თავად ხელში ჩაგვივარდება იაპონელებსაო. („ნ. დ.“)

„რუსკი ლისტოკ“-ს შეუტყვია სარწმუნო წყაროდან: ახალმა მთავარ-სარდალმა გენ. ლინევიჩმა მტკიცედ გადასწყვიტა, იაპონელებს მდ. სუნგარიზე შეებრძოლებიო.

ცნობილი გერმანელი პოლკოვნიკი გედკე ჰფიქრობს, ამას იქით დიდი ბრძოლა მხოლოდ ხარბინთან, ან იმის ახლო მოხდებაო. („ნ. დ“).

„ეკო დე პარი“-ს კორესპონდენტი იუწყება: ტელინსა და ხარბინს შუა რუსებს მხოლოდ რამდენიმე მცირე საწყობი აქვთ სურსათისა და საჭმლისა, რომ ამ საწყობებმა დააკმაყოფილონ რუსის ჯარიო. („ო. ნ.“).

„ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი ბ. ტაბურნო იუწყება 7 მარტის თარიღით: ამას იქით სარწმუნო ცნობების მიღება იაპონელების ჯარზე უფრო გაგვიჭირდება, რადგან ზოგიერთი ჩინელი აშკარად გადავიდა იაპონელების მხარეს: მოსამსახურე ჩინელებიც გაექცნენ რუსებს—ეს სულ მუკდენის დაკარგვის შედეგიაო...

რუსის ჯარის ზარალი. ტოკიოდან იუწყებიან: როცა ფუშუნის მხრიდანაც (გენ. კუროკის არმიიდან) სრული ცნობა მოვა, რუსის ჯარის ზარალს კიდევ 20 ათას კაცზე მეტი მოემატებაო. ბევრი რუსი იმალება თურმე დღემდე მდ. ლიაოხეს დასავლეთით. ჩინელებს უთქვამთ: იაპონელებმა ბევრ რუს მოუჭრეს გზა მდ. ლიაოხეს ახლო და ეხლა ეს რუსები შანხაიგუანისაკენ (ჩინეთშია, ზღვის პირად) მიდიანო. თუ ეს ცნობა სწორეა, მაშინ ამ რუსებს ჩინელები აჰყრიან იარაღს და დაატყვევებენ.

ტოკიოდან იუწყებიან, რუსებს მანჯურიაში მაშველი ჯარიც რომ მოუვათ, სულ 130 ათასი კაცი ეყოლებათო.

ხარბინში. „ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი 7 მარტის თარიღით იუწყება: ხარბინელები აღელვებულნი არიან; ბევრნი მიდიან აქედან. ჩინელებს შეტანილი ფული გააქვთ რუსეთ-ჩინეთის ბანკიდან. შტალმეისტერი როძიანკოც წავიდა; მთელი თავისი სასანიტარო რაზმი დაჰკარგა როძიანკომაო.

„რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი კლიმოვი 8 მარტის თარიღით იუწყება: ხარბინიდან მცხოვრებლები საჩქაროდ მიდიან ჩრდილოეთისაკენ, სავაჭრო ფირმები ვაჭრობას ჰსპობენო.

რუსის სამხედრო საავადმყოფოები სულ ხარბინში გადაიტანეს. ეხლა ჰფიქრობენ, არა სჯობია, აქედანაც დროზე გადავიტანოთ ჩიტასა და ირკუტსკში, რომ მერე უეცარ დახევის დროს კიდევ ზარალი არ მოგვივიდეს და ქონება არ დაგვრჩესო. („ო. ნ.“).

განადგურების შემდეგ. მეტად დიდი საცოდავობა გამოუვლია რუსის ჯარს მუკდენიდან უკან დახევის დროს. „რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტები ობოლეშევი და გარინი სწერენ: თავზარდაცემული რუსის სალდათები რკინის გზის მატარებლის ვაგონებსა, ბანებსა, თვლებსა და ღერძებზეც კი ხტებოდნენო; ხშირად ისმოდა კივილი „არიქა იაპონელები მოდიანო“, და თავზარდაცემული რუსები აქეთ-იქით იფანტებოდნენო. იაპონელები გვერდზე მისდევდნენ რუსის ჯარს და განუწყვეტლივ ზარბაზანსა და თოფს ესროდნენ. „ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი იუწყებოდა, ზოგან ისე აირივნენ რუსის სალდათები, რომ ერთმანეთს დაუშინეს თოფიო. ბოლოს როგორც იყო, რუსის ჯარის ნაშთი ტელინამდე მივიდაო. „მატენ“-ის კორესპონდენტი ასე აწერს რუსის ჯარს: „ხარბინიდან მუკდენს წავედ. 26 თებერვალს კაიუანში გავიგეთ, რუსებმა მუკდენი მიატოვეს და ტელინს მოვიდნენო. გზაში მატარებლები გვხვდებოდა ჩრდილოეთისაკენ სწრაფად მიმავალი და არტილერიითა და სამხედრო მასალით დატვირთული. რკინის გზის ორსავ მხარეს რუსის სამხედრო ქარავანი საცოდავად გაჭიმულიყო და გუნჭჟულინისაკენ მიდიოდა. მეტად სამწუხარო სანახავი იყო; ფურგუნებს დატანჯული სალდათები მისდევდნენ; სალდათები ძლივს მიათრევდნენ ფეხებს, გზაში ეძინებოდათ. 26 თებერვალს ღამით ტელინში მივედით. იქაური ვაგზალი სნეულებითა და დაჭრილებით იყო გაჭედილი. ბევრს ადგილი ვერ ეშოვა საავადმყოფოში და რელსებსა და ყუთებ შუა იწვნენ. ჩუმ ღამეში ყველა მხრიდან კვნესა ისმოდა. მომაკვდავთა ხრიალი დაჭრილთა გოდებას უერთდებოდა. გათენებისას უფრო საზარელი სურათი დავინახე: ქუჩის პირად ყველგან გასისხლიანებული, მომაკვდავი და მკვდარი სალდათები იწვნენ ცას ქვეშ, სიცივეში, ცალიერი ტომარაც არა ჰქონდათ, რომ თავქვეშ დაედოთ... მეორე და მესამე არმია რკინის გზას ახლო ვაკეზე იდგნენ; ზოგიერთი პოლკი გამწკრივებულიყო კიდევაც. პირველი არმია რამდენსამე ვერსტზე იდგა ტელინიდან სამხრეთისაკენ. ბევრ სალდათს თავისი პოლკი და ბატალიონი დაჰკარგოდა; ესენი იქ-წიოდ დარბოდნენ, ირეოდნენ, აქეთ-იქით ეცემოდნენ. საშინელი ჰქდვა და არეულობა იყო. მთავარ-შტაბი და ცენზურა მინდოდა მეპოვა, ძლიერ ვეცადე, მაგრამ ვერას გავხდი. („ნ.“).

„ნ. ფ. პრესე“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან: გენ. კუროპატკინის თანამგზავრნი ამბობენ, დაჭრილი რუსები ტელინში საზარელ ყოფაში იყვნენო: საავადმყოფოები ძალზე იყო გაჭედილი, ასე რომ

სალოდავი დაჭრილები დაგლეჯილ, გასისხლიანებულ ტანისამოსით რკინის გზის რელსების პირად ეყარნენ და თუ ნახშირის ცალიერ ტომარას დაინახავდნენ, ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენო. („ნ.“).

ბერლინის გაზ. „ტაკ“-ს დეპეშით ატყობინებენ, რუსის ჯარი მეტად ცუდ გუნებაზეაო. თვალით მნახველნი ამბობენ, რუსის ჯარი სულით დაეცა, გული გაუტყდა და იმედი გადუწყდათ, რომ გინდ შორს მომავალში გაიმარჯვონ როდისმე. ხან-და-ხან უკან დახევა უფრო გაქცევასა ჰგავსო. („ნ.“).

„რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი ლოდიჟენსკი იუწყებოდა: მუკდენიდან სრულიად მოულოდნელად, უწესრიგოდ უკან დახევას, სხვათა შორის, ის, შედეგიც მოჰყვა, რომ ბევრი რუსის სალდათი გაიქცა და ყაჩაღობა დაიწყოო.

რუსების ტაქტიკა. რუსის ჯარის დამარცხება, სხვათა შორის, დაძველებულ ტაქტიკის ბრალიცააო, ამბობენ სამხედრო მიმომხილველები. რუსის ჯარი თითქო უარჰყოფს სამხედრო ხელოვნებას და დღესაც ძალდაძალ მოქმედებს, დღესაც ძლიერ ეტანება ფრონტიდან (შუბლიდან, წინიდან) იერიშსაო. პ. გარინი სწერს „რუსკოე სლოვო“-ში: ფრონტიდან იერიშის მიტანამ თავისი დრო მოჭამა. აი ფაქტები. იანვარში ჩვენმა ჯარმა მრავალი იერიში მიიტანა ფრონტიდან სოფ. სანდეპუზე, მაგრამ ვერაფერს გახდა. ჩვენმა 60 ბატალიონმა სოფ. კუდიაზა ვერ აიღო, სადაც იაპონელებს სულ ორიოდე ბატალიონი ჰყავდათ. შემდეგ 20 თებერვალს პირველ ციმბირის 24 ბატალიონმა ფრონტიდან იერიშით ვერ აიღო სოფ. ტაშიჩაოს პოზიციები (მუკდენის ჩრდილოეთ-დასავლეთით), თუმცა ეს პოზიციები სულ ერთ დღე-ღამეს იყო გამაგრებული და იაპონელებს იქ სულ ორი-სამი ბატალიონი ედგათ. 24 თებერვალს 25 ბატალიონი ამაოდ ეცადა სოფ. თხენიტუნის აღებას (მუკდენის ჩრდილოეთით), თუმცა ამ სოფელსაც რამდენიმე ბატალიონი იცავდა... იაპონელები-კი სხვა ტაქტიკას მისდევენ. ფრონტიდან რომ იერიშით მიდიან, ამავე დროს გვერდიდან და ზურგიდანაც უვლიან მტრის პოზიციას...

რუსულ პრესის აზრი შერიგებაზე. მუკდენის ბრძოლის შემდეგ რუსულ პრესის საუკეთესო ნაწილმა მოურიდებლად მოითხოვა ზავის ჩამოგდება. „სინ ოტეჩესტვა“ სწერს: „განა დამტკიცება უნდა, რომ პორტ-არტურის აღებამდე უფრო „საპატიო პირობით“ მოვრიგდებოდით იაპონიას, ვიდრე შემდეგ? განა დამტკიცება სჭირია, რომ მუკდენის საზარელ ბრძოლამდე შერიგება გვერჩივნა, ეხლა შერიგებას? ჯერ ვლადივოსტოკი და სახალინი ისევ ჩვენი ხელშია. განა იმ დრომდე უნდა მოვიცადოთ, მანამ ამ ადგილებსაც იაპონელები არ დაიჭერენ? ჩვენ ბევრჯელ გვითქვამს, და კიდევ ერთ ხელ ვიმეორებთ, რომ იაპონიასთან ომი ტყუილ-უბრალო, უსარგებლო ომია და ჩვენის ხალხის ინტერესებს სრულიად ეწინააღმდეგება: ჩვენის დამარცხების მიზეზი ესა თუ ის უვარგისი სარდალი კი არა, ჩვენის პოლიტიკურ ცხოვრების ის საზოგადო პირობებია, რომელთაც შესაძლებელი გახადეს ომი და გამარჯვებას კი შეუძლებელსა ჰხდიან. დატანჯულ რუსეთს უსათუოდ ზავი სჭირია და რაც უფრო დავიგვიანებთ გამარჯვების მოლოდინში, იმდენი უფრო ძვირად დაგვიჯდება ზავი.

მაგრამ რუსული შოვინისტური გაზეთები „მოსკოვსკია ვედომოსტი“, „ნოვოე ვრემია“ და სხვები დაჟინებით გაიძახიან: შერიგებას ნურავინ გაახსენებს, ნამდვილი ომი მხოლოდ ახლა იწყებაო.

რა დაუჯდა რუსეთს ომი? ბ. დ. ჩ. სწერს „სინ ოტეჩესტვა“-ში: ჩინეთის რკინის გზა 500 მილიონი მანეთი დაუჯდა რუსეთს, პორტ-არტური და დალნიც დაახლოვებით ამდენივე დაუჯდა. ომი, რაც უნდა მცირედ ვიანგარიშოთ, დღემდე 600 მილიონი მანეთი დაჯდა და თუ მალე გავათავებთ, სულ ცოტა მილიარდ მანეთამდე (ათასი მილიონი) ავა ომის ხარჯი. თუ „ნოვოე ვრემია“-ს რჩევას ავყვებით და „სრულიად გამარჯვებამდე“ ვიომებთ, მაშინ ხომ 2 მილიარდამდეც დაიხარჯება. რუსეთში სულ 97 გუბერნიაა. ასე რომ თითო გუბერნიას 20 მილიონი მანეთი შეჰხვდება... რამდენი სკოლა გაიხსნებოდა, რამდენი გზა გაიმართებოდა და სხვა სასარგებლო საქმე გარიგდებოდა ამ ფულით...

გლეხთა მოძრაობა

ოფიციალური ცნობა

(„კავკაზ“-ი № 70).

გლეხთა მოძრაობა გორის მაზრაში თანდა-თან იზრდება და მწვავდება. წასულ კვირას სოფ. ზემო-გომში მოხდა გლეხთა ყრილობა, რომელმაც გადასწყვიტა უსასყიდლოდ ისარგებლოს მემამულეთა მიწებით, აღარ მიმართოს ადმინისტრაციის დახმარებას და ყველა საქმე თვითონ გაარჩიოს არჩეულ კაცების მეოხებით. ასეთივე ყრილობა მოხდა სად. მიხაილოვოსთან დეპოს მუშების მონაწილეობით. ამასთან ყრილობამ თავის მოთხოვნილებათა აღსასრულებლად საჭიროდ სცნო ძალა იხმაროს ადმინისტრაციის მოხელეთა წინააღმდეგ და დასწვას სასოფლო სამმართველოები.

7 მარტს სოფელ კარალეთში მახლობელ სოფლებიდან შეიკრიბა გლეხობა წითელის დროშებით, უწესოება მოახდინა და დააზიანა სოფლის კანცელარია, რადგან კარალეთის საზოგადოებამ არ იკისრა თავის კანცელარიის დაცვა, საქმეები გადატანილ იქნა მემამულის თავ. ერისთავის სახლში.

ცხინვალში ხალხი ქუჩა-ქუჩა დადიოდა, იძახდა „ურა“-სა და „ერთობას“ და რევოლვერებს ისროდა.

11 მარტს დაიწყო თავდასხმა ქარელში თავ. ციციშვილების ტყეებსა და სახლ-კარზე. ამასთან გლეხები უშლიან სოფლის მოხელეებს თავიანთ თანამდებობის ასრულებას და ითხოვენ მემამულეთა მოსამსახურეებს.

სოფ. სვირში, 11 მარტს, ხალხმა ჩალეწა სკოლისა და სასოფლო სამმართველოს შუშები. შემდეგ დააზიანა ოთხი ქარის წისქვილი. ეს წისქვილები სადაო გლეხთა და მემამულეთა შორის.

ჩამოთვლილ ადგილებს გარდა მოძრაობამ თავი იჩინა აგრეთვე ბაკურიანშიაც. თითქმის ყველა სასოფლო სამმართველოში საქმის წარმოება შეჩერდა.

გორის მაზრის გლეხთა საჭიროებების გამოსარკვევად კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ მარტის პირველ რიცხვებში ადგილობრივ გაჰგზავნა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ე. გ. ვეიდენბაუმი, რომელიც კარგად იცნობს ადგილობრივ გლეხთა ყოფა-მდგომარეობას. რადგან მოძრაობამ საშიში ხასიათი მიიღო, ადმინისტრაციის დასახმარებლად გორის მაზრის სხვა და სხვა ადგილას გაიგზავნა ჯარი.

—

ზემო ქართლი. მრავალს მოეხსენება, რომ ზემო ქართლის მკვიდრნი ნამეტურ მშვიდი და გულ საწყალი ხალხია და რაც უნდა დიდი გაჭირვება დასდგომოდათ, ხმას არ ამოიღებდნენ. მაგრამ ყველას საწყაული ჰქონია და ზემო ქართლელებსაც. რომ მეტის მეტად გაუჭირდათ, ფიალა აივსო, გადმოხეთქა და ამ გადმოხეთქიდან ნათლათ დავინახეთ შემაწუხებელი ჭირ-ვარამი. ამოძრავდა მთელი ზემო ქართლის გლეხობა და მათ მოთხოვნილებას ყური რომ დაუგდოთ, სწორედ იგივეა, რაც გურულებისა. ბ-ნმა კრიმ-გირეიმ რომ აქეთაც ჩამოიაროს და გამოიკითხოს ამათი გაჭირვება, უმეტნაკლებოთ სწორედ იგივე წერილები დაიწერება, რაც დღეს გურიაზე იწერება. ზემო ქართლელ გლეხის გაჭირვება კიდევ მეტია, ვიდრე გურულისა, რადგან ზემო ქართლელი გლეხი მეტად გაუბედავი, მოუხერხებელი, და გულ-ხელ დაკრებილია.

ქართული ანდაზაა: „ცხვარი ცხვარია, თუ გაცხარდა, ცხარიაო“, სწორედ ასეა ზემო ქართლელების საქმეც. ახლა, რაკი გაბედეს, ხმა ამოიღეს თავიანთ გაჭირვებულ მდგომარეობაზე, უნდა მოგახსენოთ, რომ მათი შეჩერება რეპრესიულის ზომებით შეუძლებელია. საკვირველი და საოცარი უფრო ის არის ზემო ქართლელ მებატონისა, რომ რამდენიც უფრო განათლებულია, იმდენი უფრო ძალზე უჯიათია. თუ ამ განათლებულს თანამდებობაც აქვს, მაშინ ხომ ცეცხლზე წყლის დამსხმელია გლეხისა!! არც მღვდლობამ დაგვაკლეს ხელი.

ზემო ქართლელი.

—

ზემო იმერეთი. ზემო იმერეთის ცხოვრებას ახალი ხანა დაუდგა. ამ ორი თვის ამბებმა მკვიდრნი გამოაფხიზლა, დააკვირვა ცხოვრებას, აალაპარაკა, აამოძრავა და დააყენა ისეთს გზაზე, რომლიდანაც მისი გადაყენება თითქმის შეუძლებელია. გლეხობამ გასწყვიტა ყოველივე კავშირი ადმინისტრაციასთან და ყველა საქმის მოწესრიგებას თვითონ შეუდგა. სასამართლოებში საქმეების გარჩევა შესწყდა. თუ ამდენი ხანი სასამართლოში მოსამსახურენი ბევრის საქმეებისა გამო მოუსვენებლად ყოველ დღე 14—15 საათს მუშაობდნენ, დღეს სულ განთავისუფლდნენ მუშაობისაგან. ძველი მომჩივნები სპობენ საჩივარს, აღმასრულებელ ფურცლების გატანას და ყველა საქმეს არჩეულ პირებს ანდობენ. სკოლებში ბავშვებს არ უშვებენ, არ გვინდა ჩვენთვის უსარგებლო და ძალით-ძალად თავზე მოხვეული სკოლაო. ბევრს სკოლაში თვითონ მოსწავლეებმა მიანებეს სწავლას თავი. 21 თებერვალს ყვირილის საქალაქო სკოლის ბავშვებმა დაანებეს სწავლას თავი, 8 მარტს ნორმალურს სკოლაში და 10 მარტს რკინის გზის სკოლაში. არ გვინდა აგრეთვე კანცელარიები თავიანთ მოსამსახურეებითაო. ბევრს ალაგას სკოლისა და კანცელარიის თავიდან მოსაშორებლად საძაგელ საშუალებას მიმართეს: დაუწყეს მათ წვა და ნგრევა. 28 თებერვალს კიცხის საზოგადოების სკოლა და კანცელარია დალეწეს. 4 მარტს დაწვეს შორაპნის საზოგადოების სოფლის სამმართველო. 5—კლდეეთისა, 6—ბოსლევისა და საქარისა 6—დაწვეს კვალითის ეკკლესია. მემამულენი წინად თუ სანახევროდაც ძლივს აძლევდნენ მუშებს საყანეებს, დღეს მეოთხედზედაც დიდის სიამოვნებით თანხმდებიან. დრამის ფულისთვის წინად თუ ტყავს აძრობდნენ გლეხებს, დღეს ბევრმა მღვდელმა თვითონვე განაცხადა უარი ამისს მიღებაზე, წინად თუ გზის კეთება და სხვა ბეგარა მარტო გლეხებს აწვათ კისერზე, დღეს ყველა „გაუმარჯოს ერთობას“ ძახილით სცდილობს შეუდგეს როგორც გზის კეთებას, ისე სხვა ბეგრის ასრულებას, რომ ამით შეუმსუბუქოს გლეხებს ტვირთი და შეუდგნენ განახლებულ ცხოვრებას.

სალი.

—

შორაპნის მაზრაში, როგორც „კავკ.“-ი გადმოგვცემს, გლეხობამ შესწყვიტა ყოველივე კავშირი სოფლის მოხელეებთან. ყველა საქმეებს არჩევენ საიდუმლოდ არჩეულნი წარმომადგენელნი. გლეხობამ უარი განაცხადა ხარჯის გაწერაზე და შეთანხმდა აღარ დაიმუშაონ მემამულეთა ადგილები. დროებით ვალდებულმა გლეხებმა ამას გარდა უარი განაცხადეს სანადელო გადასახადის გაღებაზე. ამათ განაცხადეს, ეს ადგილები მემამულეებისა-კი არა, გლეხებისაო.

—

ბელაგორი (შორაპნის მაზრა). იმავე გაზეთის სიტყვით, 6 მარტს შეუპყრიათ ვიღაც კაცი, რომელსაც სოფ. ბელაგორისათვის ცეცხლი უნდოდა წაეკიდებინა. ეს კაცი დაუჭერიათ და ადგილობრივ ბოქაულისათვის გადაუციათ, მაგრამ 6 მარტსავე, დილის 11 საათზე, შეიკრიბა 500 კაცამდე და ძალით გაანთავისუფლა.

—

სოფ. დიღომი (ქართლი). 13 მარტს, დიღომის ეკკლესიაზე დიდ-ძალი ხალხი შეიკრიბა. ყრილობას ექვსასამდე კაცი და ქალი დაესწრო. ყრილობა შეუდგა მშვიდად, წესიერების დაურღვევლად გლეხობის ეხლანდელ მდგომარეობის გამორკვევას. ყრილობაზე მრავალი აზრი გამოითქვა. განაცხადეს, რომ გლეხობა დღევანდელ ცხოვრების აუტანელი პირობების წყალობით მეტად ცუდს მდგომარეობაშია. ყველაფერში გადასახადია. ახდევინებენ საბალახესა, ტყისა და მრავალ სხვას. ყრილობამ საჭიროდ სცნო გადასახადების სრულიად მოსპობა საბალახესა და აგრეთვე მტკვრის პირად ქვიშა-მიწის სარგებლობისათვის. ურემ-ქვიშაზე ამ უკანასკნელ ხანებში გლეხებს ჰხდებათ 20 კაპ., ეს გადასახადი სრულიად არ იყო. ყრილობამ აარჩია 10 კაცი წარმომადგენლებათ და დაავალა უფრო დაწვრილებით გამოარკვიოს გლეხობის საჭიროებანი. ყრილობამ აგრეთვე აარჩია რამდენიმე დეპუტატი და გაგზავნა თავის მოთხოვნილებებით დიღომის მემამულეს კნ. ელისაბედ ბაგრატიონ-მუხრანსკისასთან.

ახალი ამბავი

✦ ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნებს 14 მარტს კრების დასრულების შემდეგ **კერძო თათბირი** ჰქონდათ. კრებამ დაადგინა უთუოდ ეხლავე წავიდნენ პეტერბურგში საბჭოს მიერ ამორჩეული დეპუტატები. თავ. ა. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვი, თავ. ვ. ს. მიქელაძე და ნ. ნ. ოსტროგორსკი გუშინ, 15 მარტს, საღამოს მატარებლით უკვე გაემგზავრნენ პეტერბურგს.

✦ 14 მარტს ამიერ-კავკასიის რკინის გზის **მთავარ საწყობის** მუშებმა ხელი აიღეს მუშაობაზე. მუშები თხოულობენ: რკინის გზის სხვა მუშებთან ერთად მუშაობა უნდა იწყებოდეს დილის „გუდოკზე“ და ნაშუადღევის 3 საათზე თავდებოდესო. რკინის გზის გამგეობა-კი არა თანხმდება და ამბობს, ამ საწყობის მუშები დილით უნდა მუშაობდნენ, რომ არაფერი არ დაიკარგოსო.

✦ ჩვენ ამ დღეებში მოხსენებული გვქონდა, რომ იარმუკის გარშემო მყოფმა **ვაჭრებმა უკმაყოფილება განაცხადეს** დუქნების ქირების ვადიდების გამოო. ეხლა, როგორც გვატყობინებენ, ეს ვაჭრები თხოულობენ, სახლის პატრონებმა მოიჯარადრეებს არ მისცენ სახლები, რადგან ისინი ერთი-ორად უმატებენ ქირებს და მეტად გვავიწროებენო. მომეტებული უკმაყოფილება განუცხადებიათ მუხრანის ეზოს სახლის პატრონის მოიჯარადრეზე, რომელსაც მეტად აუწევია ქირები. ამის გამო დღეებში გაფიცულან მექათმეები, რომელნიც დღეში თურმე წინად ორ შაურს იხდიდენ, ეხლა-კი აბაზი გაუხდია მოიჯარადრეს. მეთევზე-მეკალმახენი თითო სტოლის ადგილში დღემდის 6 მანეთს ვიხდიდით, ეხლა 10 მანეთს გვახდევინებენო. თავიანთ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ვაჭრებს ვექილიც დაუჭერიათ.

✦ ამ ცოტა ხანში მოხდება **თამამშევის ქარვასლის** ვაჭართა კრება. განსახილველი საგნები შემდეგია: 1 ამორჩეულ იქნას კომისია ვაჭრებისა, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ზომები ქარვასლაში „ქარვასლური“ ძველ ადათების გადასაგდებად, მუშტრის ძალად დაძახების და ქარვასლურ ტერმინოლოგიით შემკობის მოსასპობად; 2. გადაჭრილ ფასების დადება ყველა საქონელზე და ერთი ორად და სამად დაფასების მოსპობა; 3. საამხანაგო დამხმარებელ საზოგადოების დაარსება და 4. სახლის პატრონთან მოლაპარაკება ქირების დაკლების შესახებ.

✦ ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა რაგიმ-ბეგ ახუნდოვმა, რომელიც საბჭომ **პეტერბურგში გასაგზავნ დეპუტატად** აარჩია, უარი განაცხადა, სამსახურის საქმეების გამო ვერ წავალ პეტერბურგსაო.

✦ **სიღნაღი**. საქალაქო სკოლის მოწაფეთ შეაჩერეს სწავლა და წარადგინეს თავიანთი მოთხოვნილებანი, რომელიც შეიცავს თერთმეტ მუხლს. **სხვათა შორის, მოსწავლენი თხოულობენ**, სწავლა დედა-ენაზედ სწარმოებდეს; კლასიდან კლასში უეგზამენოდ გადასვლას; შეძლება მიეცეთ კურს დამთავრებულთ შევიდნენ საშუალო სასწავლებელში უეგზამენოდ; ღარიბი მოწაფენი განთავისუფლებულ იქნან სკოლის ფულისაგან და აგრეთვე მიეცეთ სასწავლო ნივთები უფასოდ; მასწავლებლებმა უნდა ასწავლონ ჩამორჩენილ მოწაფეებს თავისუფალ დროს უფასოდ; დაარსებულ იქნას სასწავლებელთან სამეურნეო და სახელოსნო განყოფილება; გაფართოვებულ იქნას პროგრამა ბიბლიოთეკისა; გამოწერილ იქმნას ჟურნალ-გაზეთები ქართულ, სომხურ და რუსულ ენაზედ; აეკრძალოს სასწავლებლის ადმინისტრაციას „ჩინოვნიკური“ ქცევა მოწაფეებთან და სხვა.

✦ უსახელო საზოგადოებას გადაუწყვეტია გამოისყიდოს ყოლანოვისა და ამხ.—გან **ავჭალის ცხენის რკინის გზა**. ამ საქმის შესახებ უკვე შეთანხმებულან.

✦ 13 მარტს, საღამოთი, ნაძალადევს ზემოდ **მოჰკლეს გიორგი ავეტისოვი**. ამ მკვლელობის შესახებ პოლიციის მე-10 ნაწილის ბოქაული ზედგინიძე სწერს ტფილისის პოლიცმეისტერს, რომ 13 მარტს, მლაშე ტბის მახლობლად, თავი მოიყარა 500 მუშამ და მოსწავლე ახალგაზრდობამ და თათბირი გამართეს. საღამოს 6 საათზედ, როდესაც კრება დაიშალა, ცხენით მიდიოდა ავეტისოვი. ცხენი ავეტისოვს ამ დღეს უყიდნია და სცდიდა. შეზარხოშებულმა ავეტისოვმა მუშების დანახვაზე სთქვა, „რაზედ ყბედობთო“. ხალხმა დაიძახა, „შპიონიაო“ და ესროლეს ორჯერ რევოლვერი. ტყვიით დაჭრილი ცხენი წაბორძიკდა და ავეტისოვი გადმოაგდო. ამ დროს ხალხი მიჰვარდა და ქვით ჩაჰქოლაო.

✦ როგორც დეპეშიდან უკვე იციან მკითხველებმა, მეშედში (სპარსეთს) **მოძრაობაა სომხების წინააღმდეგ**. „ნ. ო.“-ს სიტყვით, „ნადეჟდას“ კანტორის გამგეს შემდეგი დეპეშა მიუღია მეშედიდან: „არე-

ფელეტონი

მეგრული ენა

წავიკითხე თქვენ პატივცემულ გაზეთში, აგრეთვე მაიმედე განახლებულ „ივერიაში“ წერილები მეგრულ ენის შესახებ, უკანასკნელ თვით ბ. ჟორდანიის ეპისტოლეც (№ 2751 „ცნობის ფურც“.) და ვისწრაფი შემდეგ სტრიქონების მოწვდენას.

მეგრულ ენის კითხვას დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს ქართველ ერის თვითცნობიერებისათვის. მეგრული არის კავკასიის იმ ენათაგანი, რომელთ მჭიდრო ძმური ნათესაობა შესწევს და სახელად ივერიული ან ქართული ჯგუფი ეწოდება. მათგან ლაზური და სვანური აგრეთვე ელის ქართველ საზოგადოების შეგნებულ ყურადღებას და მათ პირუთნელ და მეცნიერულ შესწავლის საჭიროების გათვალისწინებას. ქართველ საზოგადოებამ თავის ეროვნული წარმატებითი ლტოლვანი, თუ მათი განხორციელება ჭეშმარიტად სწამს და გულით სწადია, ნამდვილ, რეალურ ცნობებზე უნდა დააყენოს, ხოლო ასეთ საიმედო და სანდოდ მისაყრდნობელ ნიადაგის გამოსამუშავებლად იგი აუცილებლად მეცნიერულ აზრს უნდა მიეკედლოს, მეცნიერების ანკარა დაუშრეტელ წყაროს უშიშრად უნდა მიმართოს და დაეწაფოს.

თავის დროზე რომ საზოგადოებას დაწყნარებულად და გულისხმობით ესმინა მეცნიერული აზრი, მაგალითად, სომეხთა და ქართველთა ნამდვილ ურთიერთშორისობაზე, და მოწინავე დას, საზოგადოებრივ მოღვაწეთ, ამ ორ მეზობელ ხალხის ეროვნულ მაღალ მისწრაფებათ შესწავლა და არა ჭეშმარიტი მდგომარეობის მახინჯური დასურათება და ბოროტ გრძნობათ აღძრვა შეუპოვრად ეკისრა, იქნება ეხლანდელ ხანას ქართველთა და სომეხთა დაახლოვებისას, უეცრად გამოწვეულს თვით ცხოვრებით, მოუმზადებლად არ დახვდებოდა ქართველობა, პირიქით, დარწმუნებული ვარ, ქართველები და სომხები იძულებული არ იქნებოდნენ თავისი ძმობა პირველჯერ ერთმანერთისთვის გამოეცხადებიათ დიახ სამგლოვიარო პანაშვიდებზე.

მეგრული ენის შესახებ მარტო გამოლაშქრება არ კმარა. სასურველია მოქმედება და გამარჯვება, ხოლო ამისთვის ლაშქრად მიმავალი უსათუოდ სავარგისი საჭურველით ან იარაღით უნდა აღიჭურვოს. მეომარს იმედი თავის სიმაგრეზე უნდა ჰქონდეს და არა მოწინააღმდეგის სისუსტეზე. მოწინააღმდეგეთ მოქმედება ძნელი არ არის მისახვედრად და განსასჯელად სხვათა შორის აღძრული კითხვის მიმართაც. ადგილობრივი სასწავლო მთავრობა თვალსაჩინო დაუღალავობას და განსაცვიფრებელ შეუდრეკობას იჩენს. ქართულ და სომხურ ენათ სწავლას ყოველი ხელმოსაკრავი ღონისძიებით აფერხებს არა თუ საშვალო სასწავლებლებში, თვით მდაბალ სოფლის სკოლებშიც, სადაც ქართულად ან სომხურად მოსაუბრე ბავშები მიისწრაფიან ცოდნის მისაღებლად, და იმავე დროს იგივე მთავრობცდილობს ადგილობრივი მწერლობა შექნას მეგრულ ენაზე (თითქო ასეთი შემოქმედებითი ძალა შესწევდეს მას) და მეგრული ენა შეიტანას სამუდამოდ (ვითომ-და სამუდამოდ!) ოდიშის, ესე იგი სამეგრელოს სასწავლებლებში თითქო ჯანმთელურ პედაგოგიის ხელმძღვანელობით, ნამდვილ-კი ქართული ენის შესავიწროებლად და თან და თან გამოსადევნად. აბა თუ დასტურ სადი პედაგოგიის მიმდევარნი ბძანდებოდენ ეგ ვაჟბატონები და მის განხორციელებისთვის გულწრფელად და ღრმა რწმუნებით [illegible] რატომ მარტო ოდიშში აგონდებათ დალოცვილებს საპედაგოგიო დიადი პრინციპები, ხოლო სხვა ნაწილებში საქართველოის და მთელ სომხეთში პედაგოგიიდან არა ახსოვთ რა. ამას დასძინეთ კიდევ, რომ თავის ნამდვილი მიზნის ჩუმჩუმობით ან, როგორც იმერხევლები იტყვიან „უჩუმალა“ მისაწევნელად, საზოგადოების თვალის ასაქცევად ადგილობრივი სასულიერო მთავრობა მიმართავს საეჭვო ზომას, უპირისწყლო საშვალებას. შარშან ზაფხულზე გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილი იყო ოფიციალური განმარტება ქართველ საზოგადოების სანუგეშოდ, რომ სამეგრელოს სამრევლო სკოლებში „საეკლესიო ქართულ ენას“ დიახ ვასწავლითო, ოღონდ „სალიტერატურო ქართულ ენას“ ვიშორებთ თავიდანო, და იმისაც მხოლოდ დროის უქონლობითო. დიდათ საგულისხმოა, რომ ახალი ენა აღმოუჩენიათ კიდევ—„საეკლესიო ქართული ენა“, რომელიც ვითომდა განირჩევა „სალიტერატურო ქართულ ენისაგან“. უკაცრავად, მაგრამ ეგ ხომ ნამდვილი ოინბაზობა გახლავს. ჩვენ ვიცით, რომ სუფევს „საეკლესიო“ ეგრედ წოდებული ხუცური ანბანი, მაგრამ პირველი გაგონება არის ჩვენი, რომ დედამიწის პირზე ქართული ენისაგან გასარჩევი „საეკლესიო ქართული ენა“ იმეოფებოდეს ეხლა ან ოდესმე ყოფილიყოს. ნეტავი შეგვატყობინებდეს, ვინ არის ასეთი მსჯელობის მქონი მეცნიერი, ვის ავტორიტეტზეა დამყარებული აგეთი უცნაური აზრი. არაბებს ორი დიახ განსხვავებული ანბანი აქვთ, ქუფისეული და ჩვეულებრივი, მაგრამ საღვთო ენა მათი ერთია. ასორებს ანუ სირიელებს სამგვარი ანბანი აქვთ—ესტრანგელო, ნესტორიანული და იაკობიტური, მაგრამ მათი სალიტერატურო ენა ერთია და არავის არ მოსვლია ჭკუაში ანბანის სხვა-და-სხვაობის დამოკიდებით ეღიარა, რომ სამი სირიული სალიტერატურო ენა არის დედამიწაზეო. რუსებს დიახ აქვს განსაკუთრებითი საეკლესიო ენა, ცნობილი საეკლესიო-სლავიანური, ხოლო ქართული „საეკლესიო“ ენა იგივე ქართული სალიტერატურო ენა არის, რასაკვირველია, უფრო წარჩინებული ფორმების სავსებით და რაოდენ ძველი, იმოდენ უფრო მკაფიო და შეურევნელ-წმინდა უცხო თესლთა გავლენისაგან. მას საეკლესიო ვერ დაერქმევა, რადგან გარდა საეკლესიო თხზულებებისა ამ მშვენიერ ქართულ ენაზე არის დაწერილი ყოველგვარი მწერლობითი ნაწარმოები, ისტორიული, პოეტური, სიტყვაკაზმული, ფილოსოფიური და სხვა, თვით ისეთი ფილოსოფიურნიც, რომელთა შეთხზვისათვის მოეკლესიენი, ქართველნი და განათლებული ბერძენნი, უწყალოდ სდევნიდენ მათ ავტორებს როგორც, მაგალითებრ, იოანე პეტრიწის. ამ ნამდვილი ქართული ენით თქმული წიგნები ხუცური ანბანით არის დაწერილი, მაგრამ ხშირად ჩვენამდი მოუწევიათ მხედრული ანბანით. და ეხლა კი თითქმის ყველა მხედრულად იბეჭდება. ამიტომაც აუცილებლად საჭიროა, რომ ვინც ამ ღირსეულ ქართულ სალიტერატურო ენას ისწავლის და ასწავლის, მხედრული წერა-კითხვაც ისწავლოს და ასწავლოს. ამ გვარად „საეკლესიო ქართული ენის“ გამოგონებით ნამდვილი ქართული ენის შესწავლის შეფერხება ან უკიდურეს უვიცობას მოასწავებს მის გამომთქმელთა, ან სასაცილო, თან საზიზღარ ღონისძიებას თვალმაქცობისას. თქმა არ უნდა, რომ არც პირველი და არც, რასაკვირველია, მეორე დასკვნა არ შეეფერება განათლების და სარწმუნოებრივ მაღალზნეობის გამავრცელებელ დაწესებულებას.

აქედან ცხადათ სჩანს, თუ როგორი მხედველობა უნდა ჰქონდეს ქართველ საზოგადოებას ადგილობრივ მთავრობის გინდა მის წარმომადგენლების ხერხებზე, ოდეს „პედაგოგიური მიზნით“ ხან მეგრული ენა შემოაქვთ მათ სკოლებში და ხელად თავგადადებით თვით მწერლობას უთხზვენ იგინი მეგრელებს, ხან „დროის უქონლობის გამო“ მხოლოდ ახალმოგონილ „საეკლესიო ქართულ ენას“ ასწავლიან და ამ გზით „სალიტერატურო ქართულ ენას“ თავიდან იშორებენ. აქ სრულებით საჭირო არ არის მითქმა-მოთქმა, პიროვნებების საქმეში ჩარევა და მათი თანამშრომლობის გამოქვეყნება. ბ-ნ თეოდორე ჟორდანიას უქვს კერძო ამ საქმეში თუ არა, ამას საზოგადოებრივი მნიშვნელობა არ აქვს. ეს კითხვა უნდა აინტერესებდეს თვით ბ-ნ ჟორ

ულობის საბაბი ხმა იყო, ვითომ სომეხმა ნამუსი აჰხადა მაჰმადიანის ქალსაო. მიზეზი —მცხოვრებთა დიდი ხნის უკმაყოფილება. უბედურება კაცის თავს არა ყოფილა. ზარალი 150 ათასი მანეთისა იქნება. გუშინ წესიერება აღდგენილ იქნა. ქალაქში რაზმები დადიან. სომხებმა საელჩოს შენობებს შეაფარეს თავი. იმათ წინააღმდეგ ხალხი აღელვებულია“.

◆ **რედაქციამ მიიღო**: „წერა-კითხვის საზ. სასარგებლოდ“: ი. ყოდაშვილის მიერ შეკრებილი 15 მ. და სარაყამიშის ქართველებისაგან—8 მ. აკაკი წერეთლის ფონდისთვის: პოლიკარპ ლორთქიფანიძის მიერ შეკრებილი—29 მან. 50 კ., ალექსანდრე კალოიანისაგან, განჯაში გამართულ წარმოდგენიდან დარჩენილი,—70 მან., ექიმ გრიგოლ მამამთავრიშვილისაგან—10 მ., პორუჩიკ ავქს. აბესაძის მიერ შეკრებილი—15 მ., ტფ. სათავად-აზნაურო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა დამხ. კომიტეტის სასარგებლოდ ექიმ ლ. ჯავახიშვილისაგან 15 მან. ბაქოში დაზარალებულთა სასარგებლოდ ექიმ ლ. ჯავახიშვილისაგან—10 მან.

◆ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ მე-8 ნომერი (მცირე წლოვანთათვის) და ამავე ჟურნალის პედაგოგიური ფურცელი № II.

◆ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი **ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან**“ ა. წულუკიძისა, ფასი 50 კაპ.

◆ **ქუთაისის ოლქის სასამართლოს** თავმჯდომარედ ინიშნება ტფილისის სამოსამართლო პალატის წევრი სტრუვე.

◆ როგორც „ინვალიდ“-ში დაბეჭდილ სიიდან სჩანს, **მუკდენის ბრძოლის დროს**, სხვათა შორის, დაჭრილან: შტაბს-კაპიტანი თავ. კონსტანტინე კონსტანტინეს ძე ნიჟარაძე და პოდპორუჩიკი ლუარსაბ მიხეილის ძე საყვარელიძე.

◆ 13 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია **ხმოსნის ბუგდანოვ-ბაგდასაროვის და ირაკლი ფურცელაძის საქმე**. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ეს საქმე უკვე რამდენიმე წელიწადია სწარმოებს. ფურცელაძე უჩივის ბუგდანოვ-ბაგდასაროვს ცილის-წამებას იმის გამო, რომ 1901 წელს საბჭოს ერთ სხდომაზე ბაგდასაროვმა განაცხადა, ქალაქის სავაჭრო-საპოლიციო აგენტმა ირ. ფურცელაძემ ქალაქის ადგილი მიითვისაო. ეს საქმე ოლქის სასამართლომ უკვე სამჯერ გაარჩია და სამჯერვე გაამართლა ბ-ნი ბუგდანოვ-ბაგდასაროვი. პალატამ 13 მარტს მესამედ გააუქმა ოლქის სასამართლოს განაჩენი და ხელახლა დაუბრუნა უკან მეორედ გასარჩევად.

◆ ამას წინად ტფ. მთავარ ფოსტაში ერთ ახალგაზრდას, მე-VII კლასის მოსწავლეს მოტყუებით სამი მანეთის ნაცვლად სამასი მანეთი წაუღია. ამ ყმაწვილს მისაღები ჰქონია სამი მანეთი. ბლანკზე ხელის მოწერის დროს სამი სამასად გადაუსწორებია და მიუღია სამასი მანეთი. როგორც აღმოჩნდა, ამ ყმაწვილს რამდენიმე დღის წინადაც სწორედ ასევე მიუღია 330 მანეთი 3 მანეთის ნაცვლად.

◆ ვანქის ტაძრის გალავანში 13 მარტს მიქაელიანის სულის მოსახსენებლად პანაშვიდის გადახდის დროს ნიკოლოოზ ამირალოვისთვის ვიღაცას 400 მან. ღირებული ბრილიანტის ქინძისთავი მოუცლია.

◆ 14 მარტს ცილხევის ქუჩაზე მცხოვრები სოფიო მირუთოვისთვის შინ არ ყოფნის დროს მოუპარავთ 256 მან. ოქროსა და ვერცხლის ნივთები.

◆ 13 მარტს დიდუბის მხრიდან რამდენიმე კაცი ჩამჯდარა ბორანში. ცოტა მანძილი რომ გაუვლიათ შეზარხოშებულ მგზავრებს დაუკრავთ ტაში და დაუწყიათ თამაში. ბორანი გადაბრუნებულა, ერთი დამხრჩვალა, ხოლო დანარჩენნი გადაურჩენიათ.

◆ პოლიციის მე-10 ნაწილში ქუთაისის ქუჩაზე ვიღაცას ნავთი გადაუსხამს როთვიაშვილის სახლისათვის და მოუკიდებია ცეცხლი. ცეცხლის გაჩენა მალე შეიტყეს და ჩააქრეს.

◆ პოლიციის მე-10 ნაწილში ფეიერვერკის ქუჩაზე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთ გიორგი ხეცურიანს და ასათიანს ჩხუბი მოსვლიათ ტფილისის მცხოვრებ მიხეილ კ. ლომიძესთან ჩხუბის დროს ეს უკანასკნელი საშიშოდ დაუჭრიათ.

◆ ნიკოლოზის ქუჩაზე მცხოვრების ოლღა ხრისტოფოვის შინ არ ყოფნით უსარგებლნიათ ქურდებს, გაუტეხიათ მისი სახლი და გაუტანიათ 350 მან. ნივთები.

◆ დიდის მთავრის ქუჩაზე რაღაც მიზეზით 18 წლის გასათხოვარ ქალს სტეფნიკა გულიევისას დაულევია კარბოლის სიმჟავე. ქალი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს, მაგრამ გზაზე გარდაიცვალა.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 15 მარტი. გუბერნატორმა თავ. ჯამბაკურ-ორბელიანმა ახალ განკარგულებამდე გააუქმა დადგენილება სწავლის დაწყების შესახებ ყველა სასწავლებელში. ამ ბრძანებამ დაამშვიდა საზოგადოება და მოსწავლენი.

გუშინ, 14 მარტს, ქიათურელთა დეპუტაციამ სთხოვა გუბერნატორს, გაიწვიოს ჯარი ქიათურიდან, რადგან ხალხი ღელავსო. თავ. ჯამბაკურ-ორბელიანი დაჰპირდა, თვითონ ჩამოვალ ქიათურაშიო.

ხვალ, 16 მარტს, იწყება იმერეთის სამღვდელოების კრება.

ქუთაისის ახალი ამბავი

◆ 14 მარტს ქალაქის ქუჩებში გაკრული იყო გაძლიერებულ დაცვის სავალდებულო დადგენილებანი.

◆ 13 მარტს ახალმა გენერალ-გუბერნატორმა მიიწვია თავისთან ქუთაისის ვაჭრები და მოსთხოვა მათ, სხვათა შორის, მიიღონ ზომები და დაარიგონ თავიანთი ნოქრები—არ მიიღონ არავითარი მონაწილეობა ქუჩის ან სხვა რიგ დემონსტრაციებში. გამოჰკითხა 14 თებერვლის ინციდენტის გამო, როცა სამი ნოქარი მოჰკლეს ყაზახ-რუსებმა და ჰკითხა ისიც, თუ რად ჰკეტენ ასე ადრე მაღაზიებს. ვაჭრებმა განუცხადეს, რომ საღამოს შვიდ-რვა საათის შემდეგ კაცს ვეღარ გაუვლია ქალაქშიო, ვინღა შემოვა სავაჭროდო. ჩვენ გვეშინიან, ადრე ვკეტავთ და მივეშურებით შინისკენაო.

◆ 13 მარტს ქალაქის მოურავისმიერ, გენერალ-გუბერნატორის ნებართვით, ქალაქის საბჭოს დარბაზში მიწვეულ იქმნენ ქუთაისის სასწავლებლების მოწაფენი, რომ გამოეთქვათ თავიანთი აზრი, რას ჰფიქრობენ, 15 ამა მარტიდან გამოცხადდებიან თუ არა სასწავლებლად. უმეტესობა მოსწავლეთა იმ აზრისა იყო, რომ დღევანდელ პირობებში სწავლის გაგრძობა შეუძლებლად მიგვაჩნიაო, და სთხოვეს ქალაქის მოურავს, უშუამდგომლოს გენერალ-გუბერნატორის წინაშე, ნუ გახსნის სასწავლებელს, თორემ, ჩვენდა სამწუხაროდ, გვირევიან ისეთები, რომ მოისურვებენ სწავლის განგრძობას, მოვლენ სასწავლებელში, მაშინ ჩვენც უნდა მოვიდეთ და წინააღმდეგობა გაუწიოთ. ამას შეიძლება გამწვავება მოჰყვეს... აგვაშორონ [illegible] ასეთი მოსალოდნელი განხეთქილება, ნუ მიგვისევენ ერთმანეთზე, ნუ დაიწყებენ სწავლას და ნუ გახსნიან სასწავლებლებსაო.

◆ 5 მარტს ქუთაისის რკინის გზის სადგურზე ახლო-მახლო სადგურების უფროსებსა და მათ თანაშემწეებს, რევიზორის სოლოვიოვის თავმჯდომარეობით კრება ჰქონდათ თავიანთ საჭიროებათა შესახებ მოსალაპარაკებლათ. კრებამ დაადგინა: 1. დაარსდეს ქუთაისში საშუალო სასწავლებელი, სადაც რკინის გზის მოსამსახურეთა შვილები უფასოდ უნდა აღიზარდონ; 2. დაარსდეს დიდ სადგურებში მოსამზადებელი კლასები, საიდანაც შემდეგ ბავშვები საშუალო სასწავლებელში უნდა გადავიდნენ; 3. დაარსდეს სადგურზე სამეული მორიგეობა; 4. მიემატოს მოსამსახურეებს 30% ჯამაგირისა და შემდეგ ყოველ სამი წლის განმავლობაში 15%, თუ კი მოსამსახურე ამისი ღირსი იქნება; 5. დაუბრუნდეთ ექიმებს ძველი უფლება მოსამსახურეების სამსახურიდან დროებით განთავისუფლებისა, (ამ ჟამათ ავადმყოფი მოსამსახურე თურმე ჯერ უნდა სადგურის უფროსმა გასინჯოს და გაანთავისუფლოს და შემდეგ ექიმმა!) 6. ეძლეოდეს მოსამსახურეებს ყოველ წლობით თითო თვის თავისუფლება და სხვა.

◆ 14 მარტს აქ ხმა გავრცელდა, რომ ცაგერში (ლეჩხუმი) მოჰკლეს ქუთაისიდან ახლად გადაყვანილი ბოქაული მახარაძეო.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა, როგორც იქნა, მოურიგდა ქუთაისის სადგურის ვაგონების დამტვირთ-გადმომტვირთავ მუშებს. თანახმად მათის თხოვნისა, დაენიშნათ თითოს თვიურად ოც-ოცი მანეთი ჯამაგირი და გარდა ამისა კერძო პირებისაგან შემოსული ფული, რომელიც აქნობამდის მოიჯარადრის ჯიბეში ჩადიოდა.

◆ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მთავრობამ სასწავლებლიდან დათხოვნილი მოსწავლეები სოფლიდან უკანვე დაიბარა და 7 მარტიდან სწავლის განახლებას შეუდგნენ. მოსწავლეები თითქმის ყველანი ჩამოვიდნენ და დანიშნულ ვადაზე, ე. ი. 7 მარტს, სასწავლებელში გამოცხადდნენ. იმ დღეს მოსწავლეებს არაფერი უთქვამთ, მეორე დღეს წყნარად იყვნენ, მესამე დღეს ბავშვებმა მასწავლებლებს გამოუცხადეს, სწავლის განგრძობა არა გვსურსო. ადგნენ და ყველანი სასწავლებლიდან გავიდნენ, მოიკიდეს თავიანთი საბან-ბალიში ზურგზე და სოფლისაკენ გასწიეს. ამგვარათ სასულიერო სასწავლებელში სწავლა კვლავ შესწყდა.

ტფილისის ქალაქის საქმეები

14 მარტი

ამ კრებასაც ბევრი ხალხი დაესწრო. პირველადვე საბჭო შეუდგა იმ კომისიის წევრთა არჩევას, რომელმაც უნდა შეიმუშაოს მოხსენება სახელმწიფოს წესწყობილების განკარგების და ხალხის კეთილდღეობის დამყარების შესახებ. ი. მ. დოლუხანოვის წინადადებით, საბჭომ კომისიის წევრებად ამოარჩია ყველა ხმოსნები. ხმოსანმა ა. ბაბოვმა მოხსენება შეიტანა საბჭოში, ქალაქის თვითმმართველობის ინიციატივით ტფილისში მოწვეულ იქნას კრება, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ კავკასიის ყველა კუთხისა და ხალხის წარმომადგენელთ. ხმოსანმა წარუდგინა საბჭოს შემდეგი რეზოლიუცია: ტფილისის ქალაქის თვითმმართველობა უერთდება რუსეთის ერობათა და ქალაქების რეზოლიუციებს და სცნობს, რომ იმ დიდებულ საკითხების გადასაწყვეტად, რომელიც ამ ჟამად მთელს რუსეთს აინტერესებს, არის მხოლოდ ერთი გზა—მოწვევა თავისუფლად ამორჩეულ ხალხის წარმომადგენლების კრებისა, რომელიც იქნება სახელმწიფოს საქმეების მუდმივი მმართველი. ტფილისის საბჭო სცნობს, რომ კავკასიის მცხოვრებნი უნდა შეუერთდნენ რუსეთის ყველა კუთხის წარმომადგენელთ. ამის მისაღწევად უპირველესად საჭიროა ამორჩეულ იქნას განსაკუთრებული კომისია კავკასიის მცხოვრებთა საჭიროების შესახებ მოხსენების შესამუშავებლად და შემდეგ მოწვეულ იქმნენ წარმომადგენელნი კავკასიის ქალაქებისა, თავად-აზნაურთა, საზოგადო დაწესებულებათა, მუშათა და გლეხთა საზოგადოებებისა.

ქალაქის მოურავმა განაცხადა, ტფილისს ოფიციალურად ნება არ ექნება, იკისროს ასეთ კრების გამართვა. ხმოსანმა ხატისოვმა ურჩია საბჭოს, მიანდოს კომისიას გამონახოს საშუალება, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს აზრი სახალხო კრების მოწვევის შესახებ. საბჭომ პრინციპიალურად მიიღო წინადადება კრების მოწვევის საჭიროების შესახებ და დაადგინა დაავალოს ზემოდ აღნიშნულ კომისიას გამონახოს საშუალება ამ აზრის განსახორციელებლად და შემდეგ აღძრას შუამდგომლობა კავკასიის ნამესტნიკის თავ. ვორონცოვ-დაშკოვის წინაშე, ნება დართოს ტფილისში კავკასიის ხალხთა წარმომადგენლების საერთო კრების მოწვევის შესახებ.

დანარჩენი დრო საბჭომ ამ საღამოს მოანდომა ქალაქის მოურავის წინადადების განხილვას ქალაქის გასანათებლად ელექტრონის სადგურისთვის ადგილის გამორჩევის შესახებ. კამათის შემდეგ საბჭომ საჭიროდ სცნო გელიოსის პროექტის ხელ-ახლა შემუშავება და დაადგინა ელექტრონის სადგურის ასაგებად შეიძინოს ჩითახოვის ადგილი საკანტროლო პალატის გვერდით.

ნაძალადევის მცხოვრებთა მოთხოვნილებანი

ამ დღეებში შეკრებილან ნაძალადეველნი და ყრილობა ჰქონიათ თავიანთ საჭიროების შესახებ. ყრილობას დაუდგენია:

1. ქალაქის ის მიწები, რომელზედაც დღეს ჩვენ ვმოსახლეობთ, ჩვენვე მოგვეყიდოს იმ ფასებით, რა ფასებითაც ქალაქმა გაყიდა, როდესაც ჩვენ დავსახლდით.
2. ის ფული, რაც დღემდინ იჯარისა გადაგვიხდია, ჩაირიცხოს ნაყიდობის ანგარიშში.
3. ადგილის ფასი გადავიხადოთ ნაწილ-ნაწილ.
4. მოიკირწყლოს ყველა ჩვენი ქუჩები და მოემატოს ფარნების რიცხვს.
5. ქუჩებს სახელი დაერქვას, ზედ წარწერები დაეკრას და ყველა სახლი დაინომროს.
6. დაგვიარსდეს სამოქალაქო პირველ-დაწყებითი სკოლა, როგორც ვაჟებისა, ისე ქალებისთვის.
7. დაგვიარსდეს საქალაქო სამკურნალოს განყოფილება.
8. ნება მოგვეცეს ქალაქის საბჭოში მოვახდინოთ კრებები, ავირჩიოთ დეპუტატები, ვიქონიოთ თავისუფლად მსჯელობა ჩვენ საჭირ-საბოროტო საქმეებზე.
9. ვიდრე ქალაქი ჩვენ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდეს, შეაყენოს კერძო საჩივრების აღძვრა ჩვენზე სასამართლოებში. შეაჩეროს აგრეთვე იჯარისა და დასახელებულ გადასახადის მოკრება.
10. ქალაქის გადაწყვეტილება საყოველთაოდ გამოგვეცხადოს და არა ცალ-ცალკე.
11. ვითხოვთ გამოიცვალოს ჩვენის უბნის სახელი და „ნაძალადევის“ და „ნახალოვკას“ მაგიერ დაერქვას ღირსეული სახელი.

გუშინ ნაძალადეველების დეპუტაციამ თხოვნა მისცა ქალაქის მოურავს, გვიშუამდგომლეთ გუბერნატორის წინაშე, ნება დაგვრთოს, რომ შევიკრიბოთ და თავისუფლად ვილაპარაკოთ ჩვენს საჭირო საქმეებზეო.

წერილი რედაქციის მიმართ

ორშაბათს, 14 მარტს, რამდენიმე ხელოსანმა მივმართეთ თხოვნით ხელოსანთა მოურავს, ბ. რაფაელოვს, ორი-სამი საათით დაგვეთმო ჩვენთვის ხელოსანთა გამგეობის დარბაზი, სადაც ხელოსნებს გვსურდა შევკრებილიყავით და ჩვენს საჭირბოროტო საქმეებზე მოგველაპარაკნა. ჩვენს თავაზიანს თხოვნაზე ბ. რაფაელოვმა არ ისურვა უბრალოდ „ჰო“-სა ან „არა“-ს თქმა და მკვახედ „ჩორტ“-თან გაგვაგზავნა. ვაცხადებთ ამას ხელოსანთა საყურადღებოდ: იცოდნენ, როგორი წარმომადგენლები გვყავს!...

რ. ბერუჩაშვილი მ. ტალაკოვი

წერილები

აფხაზეთი. ვინ არ იცის, რომ უადგილობამ, ლამის-არის, წელში გასწყვიტოს დიდი ნაწილი ჩვენის გლეხობისა. აურაცხელ გლეხობას დღეს თითქმის აღარ მოეპოება მიწა-წყალი. ამიტომ, შინ რომ ველარას გამხდარა, გარედ ეძებს ეს გლეხი სამუშაოს. მიეშურება კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეში, სადაც ცხოვრება ჯერ კიდევ არ შევიწროვებულა ისე, როგორც საქართველოს ზოგიერთ ნაწილში.

ერთს ამნაირ კუთხეს წარმოადგენს აფხაზეთი. აქ ბლომად შეჰხვდებით დღეს დასავლეთ საქართველოდან (უმეტესად კი სამეგრელოდან) მუშა ხალხს, რომელიც გაბნეულია მთელს ამ მხარეში. ზოგი ამათგანი იჯარით იღებს მიწას, ზოგიც სანახევროდ ზოგი კი მისევია ტყეს, გაუვალ ტყეს; სწვავს ეკალ-ბარდნალს, წმენდს მიწას, რომ ამისთანა მძიმე შრომის ქირად ერთს წელიწადს მაინც ისარგებლოს თავის ოფლით მორწყულ და გაწმენდილ ადგილით. ზამთარსა და ზაფხულს მთელი ეს ხალხი ატარებს ჰენჭყოებში ჩადგმულ ერთ-მტკაველა, სადღე-ხვალიოთ გვიმრა-ანწლისაგან შეკონილ კორომებში, რომლებშიაც თავისუფლად დანავარდობს ქარ-ბუქი. არა იშვიათად ხდებიან ესენი მსხვერპლად ასეთ არა სახარბიელო ცხოვრებისა და [illegible], რომლისთვისაც შიმშილს და გამოუვალ სიღარიბეს მოუგლეჯია, რომლის საშველადაც ცხრამთას იქიდან გარდმოხვეწილა, ხშირად კარს მიადგება ხოლმე საზარელი კუბო გაციებულ და უმოძრაო ახალგაზდა გვამით.

რადგან ახლად ახოთ აღებულის, ჯირკვებით მოფენილ ადგილის მოხვნა შეუძლებელია, უნდა განახვათ ეს ნახევრად მშიერი ხალხი, რომლის წლიდან-წლამდის საზრდოს შეადგენს მხოლოდ მჭადი და წყალი, თოხებითა და წერაქვებით როგორ არბილებენ მიწას—იმ მიწას, რომელიც მეორე წელს სხვის ხელში უნდა გადვიდეს, ამ განსაცვიფრებელ შრომას რომ უყურებენ აქ ჩასახლებული რუსის გლეხები, რომელთაც მთავრობა, როგორც ფულით, ისე სხვა მხრივაც დიდს დახმარებას უწევს, რომ ესენი აქ, დასახლებულ ადგილას როგორმე დაამაგროს, დაამკვიდროს, სხვა მიზეზით რომ ვერ აეხსნიათ, გაკვირვებულნი გაიძახიან: „**вотъ природа, природа**“-ო, ე. ი. ამათ თანდაყოლილი აქვთ ამგვარ შრომის უნარი. თორემ განა ასეთი თავდაუზოგველი შრომა, ისაც სხვის ადგილში, შეიძლება, გაგონილაო. არც სტყუვდებიან, მკითხველო, ჩვენ გლეხს მიწა მიეც და შრომას დაგანახვებს...

ადვილი მისახვედრია, თუ რამდენად მოძულე უნდა იყოს ჩვენი და ჩვენი ეროვნების კაცი, რომ ამ ერს ზარმაცი და მათხოვარა უწოდოს. ასეთი ცოდვა კი ჩაიდინა ამას წინად ერთმა ჩვენმა ყველას კარგმა ნაცნობმა, ამ დღეებში რიგიანად და ღირსეულადაც „გაწკეპილმა“ ქურუმ-ფარისეველმა, რომელსაც თავის სამშობლოს დიდება ჩვენს დამხობა-მოსპობაზე უნდა რომ ააგოს, რომელსაც თავი პირველ განათლებულად მოაქვს. ამ ვაჟბატონმა ამას წინად, ერთს ადგილს, განურჩევლად ყველა ქართველი მეცნიერი უვიცად, გაუნათლებლად აღიარა და ამნაირად შეგვამკო: ქართველები ზარმაცები, საპყარნი არიან, ხელის განძრევა ეზარებათ, მათხოვრობა კი ძვალსა და რბილში გამჯდარი აქვსთო, „**дай имъ на казенный [illegible] царство небесное**“-ო. დააბოლოვა ჩვენი შემკობა ამ ქურუმმა.

მკითხველო, ჩვენ არ გვაკვირვებს ამისი და ამისთანების ამგვარი ქცევა-მოქმედება. არ გვაკვირვებს, რომ ამ ვაჟბატონებს სურთ აგვი ჩვენი პირისაგან

დანიას, რადგან ახასიათებს ასე თუ ისე მის კერძო ზნეობრივ [illegible], ხოლო საზოგადოებისთვის მისი მოქმედება ამ კითხვის დამართებით საშიშარ რამე მოვლენას არ შეადგენს. საზოგადოებას პირადათ ბ-ნ ჟორდანიასთან სათქმელი ამ საგანზე არა აქვს რა, თვით ნამდვილადაც რომ ედვას მას ბრალი, რადგან იგი მუშაობს როგორც ერთი მოხელეთაგანი სახელმწიფო უწყების და, საგულისხმოა, იგი უწყების მიმართულების მიმდევარია თვით იმ შემთხვევაში, ოდეს „პროტესტს“ აცხადებს, და უნდაც იყოს, ეგ ხომ მისი მოვალეობაა, ვიდრე სამსახურისათვის თავი არ დაუნებებია. ქართველებისათვის ბ. ჟორდანიას საზოგადოებრივი მნიშვნელობა სხვა საგანზე უნდა დაფასდეს. ეს დიახ მშრომელი მოღვაწე, ქართულ საისტორიო მასალების შემკრებელი და გამომქვეყნებელი, უჯეროდ შეურაცხყოფილ არ უნდა დარჩეს. და თუ მაინც და მაინც მსჯავრის დაყენებას ითხოვს აწმყო წუთი თვით კერძო პიროვნულ ზნეობის შესახებ, საზოგადოებამ უწინარეს თავის თავს უნდა შეჰკითხოს, თვით მან განა აასრულა ზნეობრივი მოვალეობა თავის წევრთადმი? შესძლო ასეთ მშრომელ მოღვაწეთათვის, როგორიც არის გინდ ბ. ჟორდანია, საჭირო პირობების შექმნა, რათა დღიურ საზრდოსთვის უზრუნველად ეშრომათ ამ საერთო დიახ საჭირო სარბიელზე, რომელზედაც აგრე მცირე არიან მუშაკნი.

მაგრამ კვალად და კვალად ვიმეორებ, ოდეს ბაასი სტუდება მეგრულ ენის შესახებ, პიროვნებითი გამოსარჩლებას გვერდი უნდა აუქციოთ თორემ იძულებული იქნებით დედა-საქმის გამორკვევის მაგიერ კერძო პირების სარჩელს შეედგეთ, დღეს ბ. ჟორდანიას, ხვალ ვიღაც მის „მტრების“, ზეგ პატივცემულ არქიელის და ბ. ნიკოლაძის*), ხოლო საქმე ხოლმე თავის უკვე გაკაფულ გზით წავა და იმდენს გაიარს თქვენ დავაში, რომ შემდეგ ვეღარც მოეწევით. ასეთი მწერლობა იქნება ზოგისთვის გასართობ და სასიამოვნო საკითხავ „[illegible]“, მაგრამ თვით კითხვას დაბუნდოვებს, ბნელით შემოსავს.

მაინც და მაინც არ მიკვირს, რომ თვით ბ. ჟორდანიაც ცდილობს საქმის მიგდებას სხვა-და-სხვა პირზე. მის უსახელო „მტრებს“ მისი ჭირი წაუღია, მაგრამ ბ. ჟორდანია ფრჩხილებში ვითომდ-და გაკვრით და უმიზნოთ აღელვებულ საზოგადოებას პროფესორ ცაგარელზე უთითებს. „ჩემს ენას... არას დროს არ განუცხადებია მეგრულ ენის არა-ქართულ-ენობა (ეს პირველად პროფესორმა ცაგარელმა წარმოსთქვა და სხვებმა გაიმეორეს)“-ო, ბრძანებს ბ. ჟორდანია. ეს ნიშნავს შემდეგს: „მე, ბ. ჟორდანიას, უმანკო კრავს, რას მერჩით? არა დამიშავებია-რა. დამნაშავე პროფესორი ცაგარელი ბრძანდება“. დასტურად, ქართველ საზოგადოებაში დასტრიალებს ასეთი აზრი, ვითომ პროფესორ ცაგარელს ჩაეგდოს მეცნიერული საძირკველი იმ პოლიტიკურ-პედაგოგიური შენობისათვის, რომლის აგებით ვიღაცნიმე ქართული ენის განადგურებას იმედოვნებენ მეგრული ენის შემოღებით და თან-და-თან ქართველების და მეგრელების ერთმანეთისაგან დაშორებას, ერთ დღეს იქმნება მათ გადაკიდ-გადამტერებას. ქართულ ენაზე არა ერთხელ დაწერილა ამის შესახებ, არა ერთხელ შეურაცხავთ სახელი ბ. ცაგარლისა, თუმცა მას ამ საქმეში მხოლოდ მეცნიერული ღვაწლი მიუძღვის და, რადგან ეგ ღვაწლი ქართული ენის შესასწავლად აღმოუჩენია, ქართველ საზოგადოებას მისდამი მართებს მადლი და არა უღირსი ყვედრება. არავის არა აქვს არავითარი განსამართლებელი საბუთი, არც ზნეობრივი რამე უფლება პროფესორ ცაგარელს სწამოს ცილი. და უსაყვედუროს იგი, რაც მისი მეცნიერული კვლევის წრეს გარეშე აღორძინებული და რაც ვითომდა მეცნიერების მოთხოვნილებით და სახელით უმეცართა და სხვა ანგარიშის მიმდევარ მოღვაწეთ ჩაუდენიათ. პროფესორმა ცაგარელმა თავის დროზე ხელი მიჰყო ქართული დიალექტების შესწავლას, იგი ეცადა გამოეკვლია მეგრულ ენის თვისებანი და მისი განწყობილება ქართულთან, როგორც უმახლობელეს ნათესავთან, მან ძალისამებრ გამოიკვლია და პირუთვნელად და უშიშრად, როგორც შეჰფერის ნამდვილ მეცნიერს, წარმოსთქვა თავის მეცნიერული აზრი, რადგან ფხიზელი ცოდნა შესაშინარი რამ არ არის, უცოდინარობა და ოცნებობა გახლავს, რომ ერს სამარეს უთხრის.

მეგრული ენა არის მეგრული ენა, იგი ლინგვისტიკურად არ არის არც კილო (говоръ) ქართული, არც დიალექტი (нарѣчіе), მაგრამ იმავე დროს მეგრული მჭიდროდ დაკავშირებულია ქართულთან, ქართული ენის ძმა ენა არის და ქართულის მეცნიერულად შესასწავლად დიახ საჭიროა მეგრულის გამოწვლილვა, ა, რას ამტკიცებდა ბ. ცაგარელი. მაშასადამე პროფესორ ცაგარელს-კი არ უარუყვია მეგრულის ნათესაობა ქართულთან, პირიქით, იგი ცდილობდა მეცნიერულად დაესაბუთებია და დაემტკიცებია ამ ორ ენის უბრალო მსმენელისთვისაც შესამჩნევი ნათესაობა. თუ რამე საყვედური ეთქმის ქართველებისაგან ამ საგანზე პროფესორ ცაგარელს, ეგ სამეგრელოში ქართული ენის შევიწროვება და ამ მიზნით მეგრული ენის შემოღება-კი არ არის, არამედ ის, რომ მან ვერ დაასრულა ეგ დიდი საქმე და მიატოვა. ხოლო საქმე ჭეშმარიტად ღრმა ინტერესს წარმოადგენდა, მეცნიერულსაც და ეროვნულსაც, ქართულ ეროვნულს. ამის [illegible] აიღეს უცხო პირებმა, უპატრონო სამამულიშვილო სადავე ხელში ჩაიგდეს სულ სხვა მიზნით და ეხლა მეგრული ენის შესასწავლად ძალაუნებურად უნდა მიმართოთ დილეტანტებისაგან, თვით ქართულის არ-მცოდნე დილეტანტებისაგან შედგენილს, რთულ, ხშირად მცდარ უცხო ანბანით შეგროვებულ ტექსტებს, როდესაც ბ. ცაგარელი ქართულის არმცოდნე მეცნიერებსაც უზიარებდა ევროპიულ მართლწერით მეგრულ [illegible], არამედ უწინარეს ქართული ანბანით ჰკრებდა მათ ვითარცა ჯერ არს, რადგან მეგრული ენა სადიალექტო მასალას წარმოადგენს ქართული ენის შესასწავლად, ქართულთან შესადარებელია იგი და თან ქართული ანბანი მეტად შემუშავებულიც სავსებით აკმაყოფილებს მეგრულ ხმების წერით აღნუსხვას. გარდა ამისა, [illegible] მეგრული [illegible] სა ამ გზით [illegible] ძალიან ხელსაყრელი ქართულ ეროვნულ აზრის განვითარებას, იგი ქართველებს ერის ცნობის მოყვარეობის საკვებავს მააწვდენდა, ხოლო მეგრელებს მათ სამშობლო ისტორიულ კალაპოტს არა თუ ქვა-როხით გადაუღობავდა და წინსვლელობითი მიმდინარეობას შეუჩერებდა ან გადაუგდებდა უნაყოფოდ ტესაკენ, პირიქით, სიფართოვეს და სიღრმეს დასძენდა. მაგრამ ვინ არის ამ საქმის უკუღმართ დატრიალებაში დამნაშავე? განა არა თვითონ იგი საზოგადოება, რომელიც მეცნიერს აფრთხობს, თუ იგი ჰხედავს თავის რწმუნების გამომჟღავნებას, და [illegible] და სასტიკი შეძახებით ხელიდან საქმეს აგდებინებს, ოდეს საზოგადოება მხოლოდ იმას ეგებება თანაგრძნობით და თითქოს სიყვარულითაც, რაც მის წუთის ბუნდ, გამოურკვეველ, ხშირად ამაო და ოდესმე [illegible] მისწრაფებას ასიამოვნებს?

ნიკო მარრი.

(დასასრული იქნება)

---

*) წერილს გამოსაგზავნად კონვერტში ვდებდი, როცა „ცნობის ფურცელ“-მა (№ 2754) ასეთი ლიტერატურის ერთი ახალი ნიმუში კიდევ მოგვაწოდა ბ. ბ. ნ. ნიკოლაძის, კ. მიქაბერიძისა და ი. ფანცხავას ხელ-მოწერილი. აქ საზოგადოებრივი ინტერესი ჩემის აზრით, მხოლოდ იმ საყურადღებო ცნობას აქვს, რომ „ივერიის“ ყოფილი რედაქცია თურმე მთავრობის დაწესებულ ცენზურას არ კმაროობდა და მის წელის გასამაგრებლად თვითონ თავის ნებით ამოჯდომია მას გვერდში „ჩუმათა“. ფუჰ, ბეჭდვითი სიტყვის ასეთ წარმომადგენელს, თუ ეს მართალია, როგორც სჩანს სამ საპატიო პირთა წერილისაგან.

გაზეთი «ცნობის ფურცელი» ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვ 5 მ. 75 კაპ. 10 თვ. 5 მ. 20 კაპ., 9 თვ. 5 მ., 8 თვ. 4 მ. 50 კაპ., 7 თვ. 4 მ. 6 თვ. 3 მ. 50 კ., 5 თვ. 3 მან., 4 თვ. 2 მ. 60 კ., 3 თვ. 2 მან., 2 თვ. 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვს მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიტანონ ის ნომერი, რომელიც ადრესზედ დააკრული.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოიგზავნოს.

1 იანვრიდან წლის დამლევამდის „ცნობის-ფურცელი“ ღირს 5 მ. 75 კაპ.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 კ. პ. **სურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანისა: ვიცით, რომ ბარბაროსი ბევრია კიდევ ქვეყნად. არა, ჩვენ გვაკვირვებს და ზიზღს გვგვრის მხოლოდ ზოგიერთ ჩვენის მოძმეების ყოფა-ქცევა. აბა მითხარი, როგორ არ გეზიზღებოდეს კაცი, როცა ხედავ, რომ იმის პიროვნებას დასცინიან, ტალახში სვრიან, ფეხ-ქვეშ სთელავენ, უნდათ სრულიად მოსპონ და ეს კი ნაცვლად იმისა, რომ თავისს მტერს სამაგიერო მიაგოს, ფინიასავით ელაქუცება, მონურად ფეხებს ულოკავს, ფიანდაზად ეგება და ქება-დიდებას უძღვნის! **აფხაზი**

—

ხვარბეთი (გურია). დღეს, 10 მარტს ხვარბეთის სასოფლო კანცელარიაზედ მოხდა ყრილობა, რომელსაც დაესწრო თითქმის მთელი საზოგადოება. ყრილობა შეკრიბეს საზოგადოების მიერ არჩეულმა დეპუტატებმა, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ განხილვა სოფლის სხვა და სხვა საქმეებისა. ყველასთვის საყურადღებო ის იყო, რომ ამ არჩეულ პირთ მინდობილ საქმეებში დიდი დახმარება გაუწიათ ამავე საზოგადოების მართებლობის მამასახლისმა პორფირე გურგენიძემ (რაჭის მაზრის მცხოვრებია). დეპუტატებმა ბევრი აწეწილ-დაწეწილი საქმეები გამოაჩინეს მთელ საზოგადოების თვალ-წინ და ყველა ამაში ხელმძღვანელობას უწევდა პორფირე გურგენიძე, რისთვისაც მთელმა საზოგადოებამ დიდი მადლობა გადაუხადა. როდესაც დეპუტატების მიერ აღმოჩენილ და გასწორებულ საქმეების გამოცხადება გათავდა, მამასახლისმა მიმართა საზოგადოებას შემდეგის სიტყვებით: „პატივცემულო საზოგადოებავ! გაუწყებთ მთავრობის განკარგულებას, რომლის ძალითაც მე დღეიდან დათხოვნილი ვარ ჩემის თანამდებობიდამ. ამისთვის არ შემიძლიან არ გამოვსთქვა რამდენიმე სიტყვით ის სიყვარული, რომელსაც ვგრძნობ თქვენდამი. თავიდან, რასაკვირველია, არ ვიყავი თქვენთან გაცნობილი, და მართებლობამ გამომგზავნა იმისთვის რომ აღმედგინა წესიერება. მაგრამ როდესაც გავიცანით და გავიგე თქვენი მიმართულება, დავრწმუნდი, რომ იმდენი დანაშაულობა არ მიგიძღოდათ, რამდენიც გბრალდებოდათ სხვა და სხვა პირების გამო (თქვენც იცით ვინც ბრძანდებიან ეს პირები). ჩემის მხრით მეც ვცდილობდი ისე გავძღოლოდი მთელს საზოგადოებას, რომ ჩემის მოქმედებით გამეწია რაიმე დახმარება. შეიძლება ჩემის თანამდებობის შესრულების დროს ჩავიდინე რაიმე დანაშაულობა თქვენს წინაშე ჩემის უმეცრების გამო, რომელსაც, იმედია, მომიტევებთ. უნდა მოგახსენოთ ისიც, რომ როდესაც თქვენ გაიგეთ ჩემი მიმართულება, მომენდევით და აღარ მიყურებდით როგორც შორიდან მოსულ კაცს. მე მივდივარ თქვენგან კეთილის გრძნობით, რადგან ვიყავ მიღებული თქვენში როგორც ერთი თქვენგანი. ამისათვის უგულითადეს მადლობას გიძღვნით და ჩემს გულში თქვენდამი სიყვარულს ფართო ადგილი აქვს და ექმნება“. **ხვარბეთელი**

* * *

ღამის დე[illegible]

„პეტერბურგის დეპეშათა საგენტოსაგან“.

15 მარტი

პეტერბურგი, 15 მარტი. უმაღლესი ბრძანებით მანჯურიის მესამე არმიის სარდალი კავალერიის გენერალი ბარონი კაულბარსი დაინიშნა მანჯურიის მეორე არმიის სარდლათ. სამხედრო რჩევის წევრი ინფანტერიის გენერალი ბატიანოვი დაინიშნა კაულბარსის ადგილზე.

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფი“ კამათობს მოსალოდნელ ზავის შესახებ და ჰფიქრობს, რომ ინგლის-იაპონია-ამერიკის სამთა კავშირი არაა სასურველიო. მონროეს დოქტრინას შეუძლია დაუშალოს ამერიკის იაპონიასთან დაახლოვებას, სამაგიეროთ, იაპონიის ინტერესები არ აბრკოლებენ ინგლის-იაპონიის კავშირს, რომელსაც შეუძლია დააჯეროს იაპონია კონტრიბუციაზე უარის თქმას, სამუდამოდ მოსპოს შიში რუსეთის ინდოეთში შეჭრისა, უზრუნველჰყოს შორეულ აღმოსავლეთში ზავისთვის ხელის შეწყობა, ჩინეთში თავისუფლად შესვლა. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება შორეულ აღმოსავლეთში და ამასთან სარგებლობის მოტანაც შეუძლიან რუსეთისთვის, რომელიც განვითარებასა და შინაურ ბუნებრივ სიმდიდრის დამუშავებას საჭიროებსო.

პარიზი, 15 მარტი. იაპონიის ახალ სესხის სინდიკატი სცდილობს საფრანგეთში მოათავსოს სესხი. როგორც ეტყობა, ინგლისის ბაზარი სავსეა ფონდებით და მას ხელსაყრელათ არ მიაჩნია სესხის პირობები. პარიზის საბირჟო სინდიკატი უარ ჰყოფს იმ ხმებს, რომ ვითომც რუსეთის სესხი ნიადაგს ვერ პოულობდეს იქ. სესხს ალბათ აპრილში გამოუშვებენ.

პარიზი. „ჟურნ.-დე-დება ამბობს, რომ რუსეთის კრედიტის წინააღმდეგ ხშირათ ილაშქრებდნენ უცხოეთის ზოგიერთი სოციალისტები და ჟურნალისტები, რომელთაც სიბრმავით სძულთ რუსეთის მონარქია, მაგრამ მაინც ვერაფერს ხდებოდნენ. ვინც კეთილ-სინიდისიერათ გაიცნობს საქმეს, ის დარწმუნდება, რომ 1889 წლიდან 1903-მდე რუსეთს მხოლოდ 1200 მილიონი მანეთი აქვს ნასესხებიო. ჯერ არ შეწყვეტილა კამათი ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ. ნაციონალისტი ბენუა წინააღმდეგია ეკლესიის გამოყოფისა.

ვარშავა. აფეთქების ჩამდენი აღმოჩნდა 18 წლის ზეინკალი სტეფანე ოკრჟეა.

ლონდონი, (რეიტერი). დღეს შესწყვიტეს ხელის მოწერა პეტერბურგში არეულობის დროს დახოცილ მუშების სასარგებლოდ; შეიკრიბა 800-დან 900 გირვანქა სტერლინგამდე; ხსენებული ჯამი მარტოოდენ მუშებმა გაიღეს. 700 გირვანქა უკვე დაურიგდა მუშებს.

ლისაბონი, 14 მარტი. შუადღის სამს საათზე მოვიდა ვილჰელმი; შეხვდნენ მეფე, მემკვიდრე პრინცი და ჰერცოგი ოპორტე.

ყაზანი. აქ ეჭვით დაჭერილნი ბაქოში არეულობის დროს ქურდობის ჩადენისთვის როსტოვცევი, იგივე როზენბერგი, მილლერი და სამხედრო ექიმი პაპოვი პეტერბურგში გააგზავნეს გაძლიერებულ კონვოის ქვეშ.

კანეა, 14 მარტი. (რეიტერი). სახალხო საკრებულოს პრეზიდენტმა იაპპანაკისმა განუცხადა ევროპის კონსულებს, რომ ის სთხოვს სახელმწიფოებს, ნუ აღმოუჩენთ დახმარებას ეხლანდელ მდგომარეობას კრიტოსზე და მმართველად აღმასრულებელი კომიტეტი იქნებაო. კანონერკა „ხრაბრათ“ მაშველი ჯარი მოიყვანეს აქ.

ტანჟერი. („რეიტერი). „ტაიმს“-ის კორესპონდენტის დამჭერელი არაბი ქალაქ ვაზანის შერიფთან გაიქცა; საზოგადოების აზრით დაცემას მიზნათ ვილჰელმისთვის მოსვლის დაშლა ჰქონდათ.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

15 მარტი.

ლონდონი. პატრონებმა იმ გემებისა, რომელნიც დაქირავებული აქვთ რუსებს ვლადივოსტოკისკენ ნახშირის საზიდავათ, დღეს განაცხადეს ლონდონში, რომ ისინი შანხაის იქით აღარ წავლენ.

ლონდონი. ოფიციალურად უარს ჰყოფენ იმ ხმებს, ვითომც ედუარდ მეფე დანიაში აპირებდა წასვლას ზავის ჩამოგდებაზე მოსალაპარაკებლად. მეფეს მხოლოდ უნდა დღეობა მიულოცოს თავის სიმამრს და იმიტომ მიემგზავრება დანიაში.

შანხაი. რუსები ემზადებიან ვლადივოსტოკის ალყის შემორტყმის დასახვედრად და ანგრევენ ტრამვაის გზასა და რკინის გზის შტოს.

ტოკიო. ხმებია, რომ რუსებმა ჩანჩუნი მიატოვეს, რადგანაც სურსათი შემოელიათო. როგორც ამ ქალაქში, ისე გირინში განაახლეს რუსებმა საერთო უკან დახევა ჩრდილოეთისკენ.

ლონდონი. მადაგასკარიდან დაბრუნებული კორესპონდენტი, რომელსაც უნახავს ჯავშნოსანი „თავადი სუვოროვი“, ყოფილა აგრეთვე ბალტიის ესკადრის სხვა გემებზედაც, ამბობს, რომ ადმირალ როჟესტვენსკის სასწაულები მოუხდენიაო; როცა ის ევროპიდან წავიდა, მისი გემები ვერ იყვნენ ჯეროვნულად მომზადებული, მეზღვაურები არ ჰყავდა კარგად გაწვრთნილი, მათ დისციპლინა არა ქონდათ და ხშირად უფროსების მორჩილებაზედაც უარს აცხადებდნენ. „მე ამგვარები არაფერი მინახავსო“, ამბობს კორესპონდენტი; „მართალია, გემები სამხედრო გემებს არ გვანდნენ სავსებით, მაგრამ სუფთანი იყვნენ და ზედ სრული წესრიგი სუფევდაო. მიუხედავად სიცხისა და სინესტისა, ადმირალს ჩინებულათ დაუცავს მეზღვაურების ჯანმრთელობა. ესკადრაზე შესანიშნავი დისციპლინაა; მუდამ დღე თვითონ როჟესტვენსკის ხელმძღვანელობით ასწავლიან; ყველანი გართული არიან საქმეში; აფიცრებს ძლიერ სურთ შეხვდნენ იაპონიის ფლოტს“.

პეტერბურგი, ქვრივმა ჩელიშევისამ ასი ათასი მანეთი შესწირა ჩისტოპოლში წულისავანის გასაკეთებლად. როცა ეს შინაგან საქმეთა მინისტრმა უქვეშევრდომილესად მოახსენა ხელმწიფეს, მან წააწერა მოხსენებაზე: „**სიამოვნებით წავიკითხე და ვმადლობ შემწირველს.**“

ვიბორგი. ბარათებითა და ტელეფონით ემუქრებიან გუბერნატორის დაჭრის საქმის გამომძიებლებს, საქმეს ძალიან ნუ გამოეკიდებითო.

კანეა. აქ სერიოზული აჯანყება დაიწყო, რადგანაც მეფის შვილმა გიორგიმ აბსოლიუტიზმი გაამეფა. აჯანყებას მტკიცე ნიადაგი აქვს. აჯანყებულები, სხვათა შორის, კონსტიტუციის შემოღებას ითხოვენ.

ლონდონი. დეპუტატთა პალატაში ლორდმა პერსიმ სთქვა, რომ ოსმალთ ჯარებმა სოლონიკის ოლქის, სოფ. [illegible] 40 კაცი გაჟლიტეს, რომელთაგან მხოლოთ 4-და გადარჩაო. როგორც ინგლისის ელჩის მოხსენებიდან სჩანს, ოსმალები შეტაკების დროს მტკიცეთ იცავდნენ დისციპლინას. პერსიმ განაცხადა, რომ ინგლისის ელჩმა მოსთხოვა დიდ ვეზირს, მიიღოს ენერგიული ზომები, რათა კვლავ არ გამეორდეს ძალმომრეობა და დასაჯონ 21 იანვარს კუკლიშში ჩადენილ უკანონობისთვის ოსმალთ სალდათებიო. დანიშნულია გამომძიებელი კომისია, რომელშიდაც მონაწილეობას მიიღებს მაკედონიის ჟანდარმერიაში მოსამსახურე რუსის აფიცერბი.

რომი. პაპმ სთქვა კონსისტორიაში ვატიკანსა და საფრანგეთ შორის განხეთქილების შესახებ, საუბედუროდ კონკორდატის დარღვევის შიში განხორციელდაო. პაპმ დასძინა, მე პირადად წინააღმდეგი ვაეიუ ამისო.

პეტერბურგის ბირჟა 4 მარტს 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	46,05
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები.	94,90
ბერლინისაზე "	46,30
პარიზისაზე	37,70
ბირჟის დისკონტი	$5\frac{1}{4}$—$6\frac{3}{4}$%
4% სახელმწიფო რენტა	$89\frac{3}{8}$
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
$4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	391
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	$312\frac{1}{2}$
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	271
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
$5\frac{1}{2}$% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	$89\frac{1}{8}$
$4\frac{1}{2}$% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

სასარგებლო ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებ. გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილ. სისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.;) 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანისა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. ამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4ს., 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
   ღია არის დილით 10—2 საათ
   " " საღამ. 5—7 "
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 "
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   " " საღამ. 5—9 "
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   " " საღამ. 5—8 "

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში. [illegible] ქალაქის ღამის თავ-შესაფარი სახლები:

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, -სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, ახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

გამგეობა ფოთის სამრხი კასისა აცნობებს თავისთ წევრთა, რომ კვირას, 20 მარტს, 1905 წელს, ნაშუადღევის 6 საათზე, ფოთის ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია **საზოგადო კრება** წევრთა. კრება განიხილავს 1904 წლის ანგარიშს; აარჩევს თანამდებობის პირთ; გადასწყვეტს გამგეობის წევრთა ჯილდოს და განიხილავს საქმეს კასის წევრის ხელაიას სიყალბით შესვლის შესახებ კასის წევრთა რიცხვში. (3—6.—3)

კავკასიის საბრეშუმო სადგურის საწყობში
(ტფილისი, მუშტაიდი) იყიდება

ცელულიარული გრენა
(აბრეშუმის თესლი)

თეთრი და ყვითელი ჯიშისა—მისხალი 40 კაპ.; ჭიის გამოკვების, თესლის დამზადების, აბრეშუმის ძაფის ამოხვევის და საფეიქროსათვის საჭირო მანქანები და იარაღი, მეაბრეშუმეობის სახელმძღვანელოები და კოლექციები.

ფუტკრის გაშენებისათვის საჭირო იარაღი და მანქანები: სკები, ხელოვნური ფიჭა, თაფლის საქაჩავი, სხვა-და-სხვა სისტემის სკების გეგმები, სახელმძღვანელოები და სხვა საჭირო საგნები.

◆ პრეისკურანტი უფასოდ (15—6.—3)

პირველი საწყობი შეშისა

ცუდად დაწყობილი ბ. ი. კურცხალიასი კარგად დაწყობილ

ანდრეევის ქუჩა [illegible] პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პოვოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება სანობითაც და ფუთობითაც. ყიდველს ნება აქვს შეშ-ქენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.
90—20) გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

ახალი საყმაწვილო ჟურნალი
„ნაკადული“
სურათებით
გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან. ნახევარის წლით ორივე გამოცემა 2 მ. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მან. შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კ. მცირე ყრმათა—15 კაპ. რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიას.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(0—Ց.—35) ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“.

განცხადება

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ საზღვარ-გარეთიდან ეხლახან მივიღეთ აუარებელი საუკეთესო სისტემის

საკერავი მაშინები

ყოველივე თავის მოწყობილებით.
ფასი ძლიერ პირიანია.

ხელ-მოკლე მუშტრებს საკერავ მაშინებს ვაძლევთ ნისიადაც, რომელთაც შეუძლიანთ წვრილ-წვრილად გადაიხადონ მაშინის საფასური. სიონის ქ. მასიურაძის და ხოჯაფარუხოვის ქარვასლა.

(15—2) პატივის-ცემით გ. ა. ლაზარევი და ძმანი ჯუმუხაძეები.

იყიდება იაფად ტფილისსა და გორში ხეხილის ხეებიდა ნერგები კ. აფრიკანის სანერგეს „ტრუდ“-იდან. მსურველმა უნდა მიჰმართოს: ტფილისში—მაღაზია მელიქ-ბახტამიანცისა და ამხან. პუშკინ. ქ. გორში—კ. აფრიკიანს კატალოგები უფასოდ. (10—87—5)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვის, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»
კიოსკში

ლორის-მელივის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონი- მ. გ. შიოლისა—[illegible]	— 10
[illegible]	— 50
ბნელი, მოთხრობა—შელანისი	— 20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1 50
II და III ტომი თითო	1 —
ი. ჭავჭავაძის I ტომი	— 70
იგივე II და III ტომი თითო	— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	— 80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	— 10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	— 40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	— 60
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	— 20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	— 55
სიბრძნე ბალავარისა	— 30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	— 10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1 50
რძე, მისივე	1 50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი —გენრიხ სენკევიჩისა	— 80
დასტურ-ლამა	— 20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	— 25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	— 20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან კ. ევანგულოვისა	— 1

ახლად დაბეჭდილი
სამზარეულო
ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. ტმბაში. (25—18)

◆ კბილებს ◆

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაზორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხვედი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (80—17)

Доз. ценз. Тифлисъ, 15 Марта 1905 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.